# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 5 მაისი. 2018 წ. №92-93 (8493-8494), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## გამოუყენებელი შანსი, დაბოლილი „გირჩელები“ და „ნიგერიის მოედანი“

③





გეყოფათ, გეყოფათ!

## ფიქრია ჩიხრაძე „აბობოქრდა“...



**პრეზიდენტის ადმინისტრაცია პრეზიდენტის მისამართით პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საპარლამენტო ტრიბუნიდან გაჟღერებული ბრალდებების დადასტურებას ითხოვს.**

პრეზიდენტის პოლიტიკურ მდივანს მიაჩნია, რომ პროკურატურას ირაკლი კობახიძის განცხადების საფუძველზე გამოძიება უნდა დაეწყო. ფიქრია ჩიხრაძის თქმით, თუ პროკურატურა არ იწყებს გამოძიებას, ირაკლი კობახიძე თავად უნდა გამოცხადდეს საგამოძიებო უწყებაში და მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მას კორუფციასთან დაკავშირებით აქვს.

**— ბრალდებები მართლაც იმდენად მძიმეა უმაღლესი თანამდებობის პირისგან, რომ ქართული სახელმწიფოს პრესტიჟი, ქართველი საზოგადოება ითხოვს და იმსახურებს იმას, რომ ამ საკითხებზე შესაბამისმა ორგანოებმა წარმართონ შესაბამისი პროცესი, ანუ განცხადებები, რომელიც გაისმა კორუფციასთან დაკავშირებით, მიზანმიმართულ ნგრევასთან სამართალდამცავი სისტემებისა, იმდენად მძიმე ბრალდებებია, რომ ბატონი პარლამენტის თავმჯდომარე უკვე უნდა იყოს მისული პროკურატურაში და ამის თაობაზე ინფორმაცია უნდა ჰქონდეს მიწოდებული. ან მინიმუმ, პროკურატურა უნდა ინტერესდებოდეს ამ საკითხებით და თავად იწვევდეს ამ განცხადებების ავტორებს. თუ ამას საფუძვლად არაფერი უდევს, მაშინ ბოდიშის მოხდის გარდა, არაფერი დარჩენიათ საზოგადოებისთვის,** — აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

## 2018 წელს ნობელის პრემიას ლიტერატურის დარგში არავინ მიიღებს

**შვედეთის** აკადემიამ წელს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის გაცემაზე უარი თქვა. ამის მიზეზი აკადემიაში განვითარებული სკანდალი გახდა, 1992 წლიდან აკადემიის წევრის, შვედი პოეტის კატარინა ფროსტენსონის ქმარს ჟან-კლოდ არნოს 18 ქალი სექსუალურ შევიწროვებაში ადანაშაულებს. ძალადობის ზოგიერთი ეპიზოდი, ქალების თქმით, აკადემიის შენობაშიც ხდებოდა.

თავად ფოტოგრაფი ყველაფერს უარყოფს, თუმცა აკადემიამ მისი მეუღლე კატარინა ფროსტენსონი ორგანიზაციიდან გაუშვა. ამასთან ერთად, განვითარდა კიდევ ერთი სკანდალი, ცნობილი გახდა, რომ ზოგიერთი წევრი, წლების განმავლობაში ლაურეატთა ვინაობის საიდუმლოდ შენახვის წესს არღვევდა. შვედეთის აკადემიამ მიიღო გადაწყვეტილება ნდობისა და იმიჯის შესანარჩუნებლად 2018 წელს არ გასცეს ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში, აკადემიის გადაწყვეტილებას დაეთანხმა ნობელის პრემიის კომიტეტი.

## სკანდალი



⑥

## სადაა ქალის თავი დამარხული?



## ანი გაჩეჩილაძეს უხამსობა არ აპატიეს



**საქალაქო სასამართლომ პრეზერვატივების საქმეზე „აიისას“ დირექტორი ანი გაჩეჩილაძე სამართალდამრღვევად ცნო. კომპანიის დირექტორს სასამართლომ ადმინისტრაციული სარჩელით 500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. კომპანიის დირექტორს, ასევე, ევალება პროდუქცია გაყიდვიდან ერთ კვირაში ამოიღოს.**

მუნიციპალიტეტმა კომპანიის მიერ გამოშვებული ის პროდუქცია გააპროტესტა, რომლის შეფუთვაზეც თამარ მეფის სურათია დატანილი. ანი გაჩეჩილაძის თქმით, სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება ცენზურის თვალსაჩინო მაგალითია. მისი თქმით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ. არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ თავმჯდომარე, გიორგი მშვენიერაძე აღნიშნავს, რომ სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით საშიში პრეცედენტია.

## კიმ ჩენ ინი პატარაა, მაგრამ დიდი გული აქვს!

**სამხრეთ** კორეის პრესის ვარაუდით, კიმ ჩენ ინი დაბალია და ამიტომ სპეციალურ ფეხსაცმელს იცვამს, რომ რამდენიმე სანტიმეტრით მაღალი გამოჩნდეს.

ერთ-ერთი გაზეთის თანამშრომლებმა სამხრეთ კორეის ლიდერის სურათები ექსპერტს წაუღეს, რომელმაც დაასკვნა, რომ კიმ ჩენ ინი სიმაღლეში 162 სანტიმეტრია. ის სპეციალური ფეხსაცმელის საშუალებით სიმაღლეს 5 სანტიმეტრით იმაღლებს.



## კიბერთავდასხმა – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს განცხადება

②





## „რატომ არ წამიყვანეთ მთაში?“

④

— ვაჟა-ფშაველას ფიქრები —



⑤

## ბიზო ზარნაძის მცირე ესეი მწერლობაში ქუდბედიანობის თაობაზე



## გიორგი კვირიკაშვილი ტოივო კლაარს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ტოივო კლაარს შეხვდა.**

შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობის ჰუმანიტარულ და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ნდობის აღდგენასა და შერიგების პროცესის გააქტიურებას ისახავს მიზნად.

ყურადღება გამახვილდა ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების როლზე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში და მოლაპარაკებების ფორმატის კიდევ უფრო გააქტიურების მნიშვნელობაზე.

მხარეებმა ასევე ისაუბრეს უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა მოძიების პროცესში თანამშრომლობის საკითხებზე და ხაზი გაუსვეს ამ პროცესში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის პოზიტიურ ჩართულობას.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს მადლობა გადაუხადა იმ მნიშვნელოვანი საქმიანობისთვის, რასაც იგი ეწევა.

## შვეიცარია საქართველოში აგრარული დარგის მხარდაჭერას აგრძელებს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გენერალურ დირექტორს (SDC) მანუელ ზაგერს, შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ლუკას ბერლინგერს, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს რეგიონულ ხელმძღვანელს ოლივიე ბურკს და სააგენტოს სხვა წარმომადგენლებს შეხვდა.**

შეხვედრაზე მხარეებმა სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს. მინისტრის პირველ-



მა მოადგილემ დეტალურად ისაუბრა სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე და ხაზი გაუსვა შვეიცარიის ფინანსური და ტექნიკური დახმარების, ასევე, დარგის განვითარებაში ევროკავშირის მხარდაჭერის მნიშვნელობის საკითხებს.

ნოდარ კერესელიძემ მანუელ ზაგერს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია გააცნო და ხაზგასმით აღნიშნა სახელმწიფოსთვის აგრარული დარგის პრიორიტეტულობის საკითხი.

მინისტრის პირველმა მოადგილემ ასევე ისაუბრა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ შვეიცარიასთან თანამშრომლობის ყველა მიმართულება სრულ თანხვედრაშია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიასთან.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის 2018 წლის სტრატეგიულ გეგმას. ნოდარ კერესელიძემ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გენერალურ დირექტორს მავნებელთან ბრძოლის 2018 წლის დოკუმენტის ძირითადი მიმართულებები გააცნო.

**„მრავალი წელია, შვეიცარია მხარს უჭერს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ჩვენ ვაფასებთ დარგის განვითარების მიზნით განხორციელებულ და მიმდინარე პროგრამებს. შედეგები ნამდვილად თვალსაჩინოა და გიდასტურებთ სრულ მხარდაჭერას“,** – განაცხადა მანუელ ზაგერმა.

## როგორ დავიცვათ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები?

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას სახალხო დამცველის აპარატის, იუსტიციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეხვედრის მონაწილეებს გააცნო ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებით არსებული ვითარება, ასევე, იმ პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც აფერხებს ქუჩაში მოზარდების ცხოვრებისა და მუშაობის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას. სამინისტროს წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას ამ მიმართულებით პრობ-



ლემების მოგვარებისა და აღმოფხვრის შესახებ უწყების ხედვა გააცნეს.

უახლოეს მომავალში, შინაგან საქმეთა სამინისტრო გეგმავს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებას, პრევენციული კამპანიის გაძლიერებას, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებთან პოლიციის თანამშრომლების მუშაობის პროცედურების შესახებ დეტალური ინსტრუქციების შემუშავებას და მათ გადამზადებას, ასევე, აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე უწყებების თანამშრომლების მულტიდისციპლინური შეხვედრების ორგანიზებას, რაც ხელს შეუწყობს ბავშვების ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის აღკვეთას.

## მწარმოებლებს პლასტიკის პარკების რეგულაციის წესები გააცნეს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე საქართველოში პლასტიკის პარკების იმპორტიორებს, მწარმოებლებს, მსხვილი სუპერმარკეტებისა და ფარმაცევტული კომპანიების ქსელის წარმომადგენლებს შეხვდა.**

შეხვედრაზე მინისტრის პირველმა მოადგილემ მოწვეულ სტუმრებს ტექნიკური რეგლამენტის პროექტი „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესი“ გააცნო. ნოდარ კერესელიძის განცხადებით, გაერთიანებული სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გარემოზე ზრუნვა და მისი დაცვაა.

**„ჩვენ გვინდა ბიზნესსექტორთან კოორდინირებული თანამშრომლობით შევძლოთ პლასტიკის პარკების გამოყენების შემცირება და, შესაბამისად, პლასტიკის პარკებისგან გარემოს დაცვა. გარემოს დაცვაზე ზრუნვა თოთოეული ჩვენგანის ვალდებულებაა და ვფიქრობ, შევძლებთ ეფექტიან თანამშრომლობას“,** – განაცხადა ნოდარ კერესელიძემ. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის უფროსი ალვერდ ჩანქსელიანი ესწრებოდა.



## კიბერთავდასხმა – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს განცხადება

**სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის სერვერზე განხორციელებულ კიბერთავდასხმასთან დაკავშირებით სამოქალაქო ავიაციის სააგენტო განცხადებას ავრცელებს.**



სააგენტოს ცნობით, კიბერთავდასხმის შედეგად კომპიუტერულმა ვირუსმა სააგენტოში დაცული მონაცემთა ბაზები, პროგრამები და ელექტრონული მისამართები დააზიანა.

**„მიმდინარე წლის 2 მაისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სერვერზე კიბერთავდასხმა განხორციელდა. კომპიუტერულმა ვირუსმა ზიანი მიაყენა სააგენტოში დაცულ მონაცემთა ბაზებს, პროგრამებს და ელექტრონულ მისამართებს. თავდასხმის შედეგად შექმნილი პრობლემის გამოსასწორებლად, სააგენტოსთან ერთად ჩართულია ყველა შესაბამისი უწყება.**

**საერთაშორისო საავიაციო ფიქსირებული სატელეკომუნკაციო ქსელების და სხვა ალტერნატიული საშუალებებით სააგენტომ უკვე უზრუნველყო ყველა საჭირო ადრესატის ინფორმირება. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მუშაობას აგრძელებს ჩვეულ რეჟიმში. საავიაციო საწარმოებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის მომსახურების გაწევა გრძელდება შეფერხების გარეშე,“** – ნათქვამია განცხადებაში.

## ქეთევან მელიქიძე: გაკოტრებული და უავტორიტეტო ორგანიზაცია!

ჟურნალისტი **ქეთევან მელიქიძე** სოციალურ ქსელში წერილს ავრცელებს:

**„გინეკოლოგი პაციენტს სინჯავს, სანამ გლანდებამდე არ მივიდა ექიმის ხელი, არ მტკივაო, ქალი იძახოდა. ჰოდა, თქვენ ქალბატონო, ყელ-ყურის ექიმთან უნდა მიბრძანდეთ, გლანდები გაქვთ ამოსაჭრელიო, მიმართულება მისცა პაციენტს გინეკოლოგმა.**

**ეს ანეკდოტი NDI-ის „უახლესი კვლევის“ გამოქვეყნების მერე გამახსენდა. საქართველოში გაკოტრებული, გაბანძებული და უავტორიტეტო ორგანიზაცია, რომელიც კვლევების ქვეშ მხოლოდ საკუთარი ორგანიზაციის სახელის დაწერასაც კი ველარ ბედავს და თავისი კუდი მოჰყავს მოწმედ. ასევე შარლატანების ერთობა, რომელიც უკვე წლებია, „თავისი მაღალი ავტორიტეტითა და პროფესიონალიზმით“ ქართველების მასხრად აგდებას უნდება!**

**წლებია, მათ მიერ „გამოკითხულ რესპონდენტებს“ ამაოდ ვეძებთ ნაცნობ-მეგობრებსა და ვირტუალურ სამყაროში. ასეთი ხალხი ბუნებაში არ არსებობს! თუმცა ის მაღალი პროცენტი, რომელიც პატრიარქის ავტორიტეტს უწერია NDI-ის კვლევაში, მაფიქრებინებს, რომ გამოკითხვები ეკლესია-მონასტრებში მიმდინარეობს! ვაი! მეტი არ აგცდათ არც ერთი, რასაც „მკვლევარებს“ გითვლით მოსახლეობა! ეს პროცენტები კი იმიტომ იწერება, სპონსორები დაარწმუნონ ქართველების სიბნელეში და ქრისტიანული სარწმუნოების გაბითურებისათვის მეტი არასამთავრობო დაასაქმონ!**

**ყველაზე კომიკური კი ამ სიტუაციაში ის არის, რომ ამ კვლევებს პუჭურ-პუჭურა, პარტიების გარდა, უმაღლეს სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები კომენტარს აკომენტარებენ!**

**2012 წელს, როცა სოციოლოგიური კვლევა ავტორიტეტულმა, საზღვარგარეთიდან მოწვეულმა ორგანიზაციამ ჩაატარა, სწორედ მაშინ გამოიკვეთა სოციოლოგიაში აბსოლუტურად დაუშვებელი ცდომილება, ერთსა და იმავე კითხვებს გაცემულ პასუხებში. ცხადი გახდა, ამერიკული დემოკრატიული ინსტიტუტი საქართველოში ჩაის მწონავ კანტორად ქცეულიყო და შულერივით აყალბებდა მონაცემებს! თავმოყვარე ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, ბოდიშს მაინც მოიხდიდა. მაგრამ არა NDI!**

**თქვენთვის მაინც უნდა ყოფილიყო ეს მაგალითი მდგომარეობიდან გამოსავალი, თქვენ მაინც უნდა დაინტერესდეთ, რას ფიქრობს თქვენზე ამომრჩეველი და კვლევა სერიოზულ ორგანიზაციას დაავალოთ, რათა სხვაობის დანახვა გახდეს შესაძლებელი!“,** – წერს ქეთევან მელიქიძე.

# გამოუყენებელი შანსი, დაბოლილი „გირჩელები“ და „ნიგერიის მოედანი“

**საქართველოს მოსახლეობის წინაშე პრეზიდენტის რანგში მისი ბოლო გამოსვლა ზუსტად ისეთივე ულიმღამო და არაადეკვატური იყო, როგორც მისი ხუთწლიანი პრეზიდენტობა.**

მას, როგორც პრეზიდენტს, ჰქონდა ბოლო შანსი, გამოეყენებინა საპარლამენტო ტრიბუნა!

გამოეყენებინა უმთავრესი ტრიბუნა, როგორც უმაღლესი ლეგიტიმაციის პირს!

როგორც პოლიტიკოსს, რომელიც დაუპირისპირდა გუნდს, რომლის მორალური და პოლიტიკური კურსის ხალხთან მიმტანი, რომლის უზენაესი დამბალანსებელი ძალა თავად უნდა ყოფილიყო!



როგორც მოსახლეობის ნების უმაღლეს გამხმოვანებელს!

ის იმ დღეს იდგა ილიას მიერ დასმული უზენაესი შეკითხვის წინ. შეკითხვისა, რომელზე პასუხის გაცემა ყველასთვის უმთავრესი საფიქრალია — რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას!

სამწუხაროდ, გიორგი მარგველაშვილმა ხალხის ტკივილზე არაფერი თქვა.

სამწუხაროდ, ქვეყნის მომავალის რეალური ხედვა არ გაგვიზიარა.

სამწუხაროდ, მან არ იმართლა თავი ყველა იმ უაზრობაზე, რაც ჩაიდინა. უაზრობებზე, რომლებიც ჩემი სამშობლოს პრეზიდენტს არ ეპატიება.

**მე რომ მისი გუნდის წევრი ვიყო — როგორც უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ღირსების მქონე ოფიცერი, თავს მოვიკლავდი.**

ბევრი ვიფიქრე, რადგანაც მინდოდა რომ რაღაცით „გამეპრავებინა“ ე.წ. „პრეზიდენტის“ საპარლამენტო „ვოიაჟი“, მაგრამ ვერაფერი ხელმოსაჭიდი ვერ ვიპოვე.

ის ვერ გახდა პრეზიდენტი.

ვერ შეძლო!

მან თავად შექმნა დაპირისპირება, რათა თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობისთვის მეტი გასაქანი მიეცა, მაგრამ არ ეყო შინაგანი ნება, შინაგანი ვაჟკაცობა მარტოს ებრძოლა.

ის დაეყრდნო აშკარად არაქართულად მოაზროვნე ხალხს, რომლებისგანაც თავისი გუნდიც ვერ ჩამოაყალიბა.

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა იმ გარემოების მძევალი, რომელშიც თავად ჩაიგდო თავი.

დასკვნა კი ერთია: ძალიან დიდი დაფიქრება გვმართებს, როცა არჩევანს ვაკეთებთ. ძალიან დიდი სიმამაცე გვჭირდება, რათა პირდაპირ ვთქვათ სიმართლე ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების წინ.

უნდა დავფიქრდეთ, რათა ჩვენი თავი, ჩვენი შვილები, ჩვენი სამშობლო ისევ არ ჩავაგდოთ იმ დღეში, რაც „შემთხვევითი“ ხალხის ხელისუფლებაში ჩვენ მიერ არასწორი არჩევანით მოყვანამ განაპირობა.

ჩვენ კი ვწერთ, ვშფოთავთ, შიშხათიან ლოზუნგებს ვისვრით და რეალურად ხდება ის, რომ ჩვენი სამშობლო (დიახ, სწორედაც რომ „სამშობლო“ და არა „ქვეყანა“ ან „სახელმწიფო“), რაღაც ულიმღამო არასამთავრობო ორგანიზაციად გადაიქცა.

არ არსებობს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი, სადაც ამ ე.წ. „სამოქალაქო საზოგადოების მშენებლებს“ არამც თუ ცხვირი, ხელიც ჩაყოფილი არა აქვთ.

ისინი პირდაპირ ბომბავენ მომავლის აშენებისთვის, ჩვენი შვილებისთვის ნორმალური სტარტაპის დატოვებისთვის შესაქმნელ ბაზას!

ტყუილია ის, რომ დასავლეთიდან მიღებული გრანტები უმაგრებთ ზურგს.

ტყუილია, რადგანაც ხელისუფლების ნების გარეშე, გარკვეული ფარული გარიგებების გარეშე ვერავინ, ვერანაირი ორგანიზაცია ვერ შეძლებს სახელმწიფოს წინააღმდეგ წასვლას.

ძალიან რთულია ამ სიტუაციის დარეგულირება. რთულია, რადგანაც უმაღლესი ტრიბუნა, პრეზიდენტის ტრიბუნა ე.წ. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თუ სხვა გაურკვეველი კომპეტენციის ხალხს აქვს ხელში ჩაგდებული.

ვერცერთი უცხოტომელი ნაძირალა ვერ გაბედავს, დაადანაშაულოს სახელმწიფო და მისი მოსახლეობა ათასგვარ დანაშაულში, რომელიც ე.წ. არასამთავრობოებმა ასწავლეს, დაარიგეს და პირდაპირ ეთერში დასვეს. ვერ გაბედავს ხელისუფლების ნების გარეშე, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნებისმიერ უცხოტომელს ხელისუფლების ეშინია.

* * *

**გაგიკვირდებათ** და NDI-ის ბოლო კვლევების შედეგების ის ნაწილი, რომელიც მედიას ეხებოდა, საკმაოდ რეალურია.

NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 72% პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად პირველ წყაროდ ტელევიზიას იყენებს, ხოლო 18% — ინტერნეტს (ფეისბუქს). გამოკითხულთა 25%-სთვის ინტერნეტი ინფორმაციის მიღების მეორე წყაროა, ხოლო გაზეთები და ჟურნალები 5%-ით ინფორმაციის მიღების მეორე წყაროს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი ინფორმაციის გავრცელების ყველაზე სწრაფი საშუალებაა, მოსახლეობის დიდ ნაწილს არა აქვს შესაძლებლობა, ოპერატიულად მიიღოს გავრცელებული ინფორმაცია და ამიტომ პირველ წყაროდ მაინც ტელევიზიების საინფორმაციო გამოშვებები რჩება. ბუნებრივია, რომ გაზეთები და ჟურნალები ინფორმაციის სწრაფად გავრცელებას ფიზიკურად ვერ შეძლებენ. სწორედ ამიტომ მათ ფუნქციად მხოლოდ მოვლენის ან ფაქტის ვრცელი ანალიზი დარჩა, რაც იმ მომხმარებლისთვის, ვისაც რეალური შეფასებები აინტერესებს, ყველაზე იდეალური ვარიანტია და არა რომელიმე პოლიტიკურ თოქ-შოუში ოპონენტის და წამყვანის მიერ წამოსროლილი ფრაზების (ცოტა დრო დაგვრჩა, ან ჯერ ამაზე გამეცი პასუხი) ფონზე „ჩაკვეხებული მოსაზრება“, რომელიც არანაირი დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა.

რაც შეეხება რეიტინგების განაწილებას, აქ მნიშვნელოვანია მედიასაშუალების ტექნიკური შესაძლებლობები. ზოგიერთ ჩემთვის პატივსაცემ ტელეკომპანიას თავიანთი მწირი შესაძლებლობის გამო, მხოლოდ 2% აქვთ, არადა, ინფორმაციის მიღების მხრივ, სწორედ მათ ვენდობი.

რაც შეეხება ნდობას:

ტელეკომპანიებს შორის, NDI-ის კვლევების თანახმად, „იმედი“ ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს — მას გამოკითხულთა 33% ენდობა? „რუსთავი-2“-ს გამოკითხულთა — 27%, „ტვ პირველს“ და „ობიექტივს“ — 2%.

ეს შედეგიც ბევრ, ასე ვთქვათ „გარე ფაქტორზეა“ დამოკიდებული. იმ ფაქტორზე, რომლებიც იმ სხვა გადაცემებიდან გამომდინარეობს, რომლებიც ტელევიზიებს პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ არსებული გადაცემების მიღმა აქვთ.

სხვადასხვა გასართობი თოქ-შოუები, რომლებსაც ოჯახის სოციალურად არააქტიური და არაპოლიტიზებული წევრები უყურებენ, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ არხი საკუთარი გემოვნებით შეირჩეს. ჩამოყალიბდა ფრაზა „ყველგან ერთი და იგივე ხალხია, ყველგან ერთსა და იმავეზე „მსჯელობენ“.

ამიტომ ერთხელ გადართული ტელევიზორი ძალიან იშვიათად გადავა სხვა არხზე, ისიც იმ შემთხვევაში, თუ რაღაც სასწაული მოვლენა არ მოხდა, ან სხვაგან უფრო საინტერესო შოუ არ დაიწყო...

**და უმთავრესი პრობლემა,** რაც დღეს



გვაწუხებს, პიარშია. ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობებში, რომელიც ბოლომდე ოკუპირებული აქვთ იმ ხალხს, ვისაც ჩვენი დაკნინება, ჩვენი ღირსების ბოლომდე ჩაწიხვლა სურთ.

ხალხზე და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ცნობიერებაზე, უკვე რამდენი ხანია, ხორციელდება აშკარა, ფორსირებული შეტევა. შეტევას კანონზე, სამართალდამცველებზე ე.წ. პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩი“ სხვა „პრადვინუტებთან“ ერთად სხვადასხვა პროვოკაციებითა თუ აშკარა ანტისახელმწიფოებრივი განცხადებებით თითქმის ყოველდღე ახორციელებენ.

დააკავეს „გირჩელები“, ორს რამდენიმე დღე მოუწევს „კპზ“-ში გატარება, ხოლო ზურაბ ჯაფარიძე 2000 ლარით დააჯარიმეს. დააჯარიმეს, მაგრამ ის ამ თანხის გადახდას არ აპირებს.

დაისვა შეკითხვა — რატომ დაიჭირეს?

მოდით და პატიოსნად ვუპასუხოთ ამ შეკითხვას:

— იმიტომ დაიჭირეს, რომ უსინდისოები არიან. იმიტომ დაიჭირეს, რომ ჩვენი შვილების დახოცვა, მათი გამოთაყვანება სურთ. იმიტომ დაიჭირეს, რომ იგნორირებას უკეთებენ კანონს!

აქამდეც იყვნენ დასაჭერები და რომ არ დაიჭირეს, ისინი ლაჩრები და უსინდისოები არიან. ვინმე რიგითი მოქალაქე რომ „აეგდოთ“ და მას „ფაქტი“ ჰქონოდა, ხომ ეგრევე ჰაერში აიყვანდნენ... თუ ტელევიზიებს და სახალხო დამცველს დაელოდებოდნენ?

ამ ორმაგი სტანდარტებით, სილაჩრით, ღირსებიც არიან იმ განცხადების, რაც ჩერგოლეიშვილმა გაავრცელა, სადაც დღევანდელ პოლიციას მილიციას ადარებს და სააკაშვილისდროინდელი „სამართალდამცველების“ დანაშაულებს „გადაცდომას“ უწოდებს.

მილიცია და მიHას პოლიცია ნანახიც რომ არ ჰყავთ ამ „სასისკებზე გაზრდილ“ მარაზმატიკებს, გასაგებია. მაგრამ სისულელეების თქმას ვინმე აიძულებს?

უბრალოდ, წარმოიდგინეთ, რომ იმდროინდელ მილიციას დაეჭირა ეს „გირჩელები“ „პლანის“ მოწევაზე და მიHას „პოლიციის“ დროს ჩერგო გამოსარჩლებოდა „უკანონოდ“ დაკავებულებს, მეორე დღეს „ხისტი“ განცხადებების თავი თუ ექნებოდათ?

ნარკოტიკების ლეგალიზაციის მომხრეებს ერთი ფეისბუქპოსტით გამოვეხმაურები:

**„ნარკოტიკის უვნებლობაზე რომ გოდებთ:**

**გინახავთ მამის კლინიკური სიკვდილი?**

**ძმის 5-ჯერ ნასამართლეობა მოხმარებაზე და დედის უკვე გამშრალი ცრემლები?**

**ყოფილხართ ამ უბედურებით გარდაცვლილი მეგობრების საფლავზე?**

**გინახავთ, როგორ ლპება ოჯახის წევრი ზეზეურად?**

**გინახავთ ფსიქოტროპულებით გაგიჟებული ადამიანი, რომელიც პოტენციური მკვლელია?**

**გინახავთ თვალის უპეებჩაშავებული ანგელოზივით გოგოები, რომლებიც ღამეებს მხოლოდ იმიტო ათენებენ, რომ ქმრის სუნთქვას ყარაულობენ?**

**გეყოფათ! ვისაც ეს ყველაფერი გამოვლილი გვაქვს, ნუ გვასაღებთ არანორმალურს ნორმალურად! დაგვენგრა ბავშვობა და თქვენ შვილებს სიგარეტსაც არ მოაწევინებთ, ალბათ, სხვები გკიდიათ ფეხებზე! ნუ იგონებთ სისულელეებს, ეს არის სენი, რომელსაც ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ და არ სჭირდება ამ თემას რომანტიზება. არავის არ შეგერგებათ ამ გზით ნაშოვნი ფული, შვილები გეზრდებათ, აზრზე მოდით!“**

წერილს დავამთავრებ იმ დასკვნით, რომელიც ოდნავ ზევით დავწერე:

**უნდა დავფიქრდეთ, რათა ჩვენი თავი, ჩვენი შვილები, ჩვენი სამშობლო ისევ არ ჩავაგდოთ იმ დღეში, რაც „შემთხვევითი“ ხალხის ხელისუფლებაში ჩვენ მიერ არასწორი არჩევანით მოყვანამ განაპირობა.**



კარგად უნდა დავფიქრდეთ და უნდა ვიმოქმედოთ, თორემ ისეთი პირი უჩანს, მალე თავისუფლების მოედანს „ნიგერიის მოედანს“ დავარქმევთ.

**გია გაბრიჭიძე**

## სასამართლომ ე.წ. „ქართული მარშის“ წევრები პატიმრობაში დატოვა




**თბილისის საქალაქო სასამართლომ „რუსთავი 2“-თან მომხდარი ინციდენტის გამო დაკავებული ე.წ. „ქართული მარშის“ წევრებისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა უცვლელი დატოვა.**

**მოსამართლე გიორგი კარატიშვილმა, რომელმაც გადაწყვეტილება გამოაცხადა, განაცხადა, რომ საქმეში რაიმე ახალი გარემოება წარმოდგენილი არ ყოფილა, რაც აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველს შექმნიდა. მისი თქმით, სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს მტკიცებულებათა განადგურების მაღალი რისკი.**

**ცნობისთვის, ე.წ. „ქართული მარშის“ შვიდ დაკავებულ წევრს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 23 მარტს შეუფარდა. ისინი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან მომხდარი ინციდენტის გამო, სისხლის სამართლის წესით, 21 მარტს დააკავეს.**

◉ გენიოსების ბედი

# ვაჟა-ფშაველას ექიმები

*ვაჟა-ფშაველა სამი-ოთხი თვის განმავლობაში განსაკუთრებით მძიმედ ავადმყოფობდა. ძალიან ცუდად რომ არ ყოფილიყო, უთუოდ დაესწრებოდა აკაკის დასაფლავებას და თავიდან აიცილებდა ჭორების გავრცელებას, თითქოს ერთმანეთი სძულდათ და ამის გამო არ შეიწუხა თავი. აკაკის გარდაცვალების დეპეშა რომ მომივიდა, ლოგინში ვიწექ, ფილტვების ანთება მქონდა, ფერდი ახლაც მტკივაო, თავი უმართლებია, როცა ორი თვის შემდეგ, 1915 წლის აპრილში, თბილისში ჩასულა.*

**... ეს იყო ვაჟას უკანასკნელი, სამუდამო ჩამოსვლა თბილისში!**

ავადმყოფობისგან დასუსტებულს ოპერის თეატრში საღამო გადაუხადეს და, როგორც მაშინდელ თბილისში წესად იყო მიღებული, ვახშამი გაუმართეს ორთაჭალის ბაღში. დილამდე მოუწია ღია ჰაერზე, მტკვრის სიგრილეში ყოფნა. კიდევ უფრო ცუდად შეიქნა. შესჩივლა კიდეც თავის უმცროს ძმა სანდროს, წამათრიეს, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაციესო.

მალე ლოგინად ჩავარდა. ვიდრე სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაში მოწყობილ ლაზარეთში გადაიყვანდნენ, სანდრო და მისი ოჯახის წევრები უვლიდნენ. სანდროს ბინაში აკითხავდნენ ექიმები: ივანე გომართელი, გრიგოლ მუხაძე და სპირიდონ ვირსალაძე.

**„პატარა ოპერაცია გაუკეთეს და გვერდიდან წყალმანკი გამოუშვეს. ამან ვაჟას ცოტა შეღავათი მისცა, იმედიც კი მიეცა მორჩენისა, მაგრამ სად იყო მორჩენა?“** – იხსენებდა მოგვიანებით სანდრო რაზიკაშვილი.

ივანე გომართელი, გრიგოლ მუხაძე და სპირიდონ ვირსალაძე იყვნენ იმ დროის საუკეთესო ექიმები.

ივანე გომართელს დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, ჰქონდა მდიდარი სამედიცინო პრაქტიკა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასევე ეწეოდა აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას, დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში კი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს, პარლამენტისა და დამფუძნებელი კრების წევრი.

პროფესორი სპირიდონ ვირსალაძე იყო თბილისის უნივერსიტეტის კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კათედრის პირველი გამგე, მის სახელს ატარებს პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

რაც შეეხება აკადემიკოს გრიგოლ მუხაძეს, მან საფუძველი ჩაუყარა ქირურგიის ყველა დარგის განვითარებას საქართველოში. მისი დაარსებულია სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. გრ. მუხაძე იყო ორთოპედია-ტრავმატოლოგიის დარგის ფუძემდებელი საქართველოში, აგრეთვე ინიციატორი ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტის შექმნისა. მისი დაფუძნებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტი; იყო რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი.

გრიგოლ მუხაძეს პირადად იცნობდა გალაკტიონ ტაპიძე, რომელიც ცნობილ ექიმს ასე ახასიათებს: **„იგი, მართლაც, მუხასა ჰგავდა, როდესაც თეთრხალათებიან ექიმებით გარშემორტყმული იდგა საავადმყოფოს ერთ-ერთ ოთახში. იყო საშუალოზე მაღალი ტანის კაცი, კარგად ჩაფსკვნილი, კონცენტრირებული ნებისყოფის, ძუნწი მოძრაობისა და სიტყვებზედაც ძუნწი, ავტორიტეტული, მთლიანი პიროვნება“.**

ექიმები ყურადღებას არ აკლებდნენ ვაჟას, თუმცა ავადმყოფის მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა. ამასობაში დადგა ზაფხული. ძალიან დაცხა. ავადმყოფი კიდევ უფრო მეტად შეწუხდა.



**„ადე, კაცო, დაეთხოვე სამსახურიდან, დავიქირავოთ ერთი ავტომობილი, წავიყვანოთ თან შიო მღვიმელც, წავიდეთ აქედან, თორემ მე ამ სიცხეში რა გამაძლებინებს, მოვკვდები. ისევ მთაში, თორემ აქაური ცარიელი წამლები მე ვერას მიშველიანო“**, ეუბნებოდა ვაჟა თავის ძმას, რომლის გადმოცემით, ვანო გომართელიც სულ იმას იმეორებდა, რომ ვაჟა ისევ მთაში წაეყვანათ ჰაერზე, მაგრამ გადამწყვეტი აღმოჩნდა გრიგოლ მუხაძის პოზიცია, შეიძლება გვერდში წყალი ჩაუდგესო.



ივანე გომართელი



სპირიდონ ვირსალაძე



გრიგოლ მუხაძე

ექიმ მუხაძის აზრით, ვაჟას გაგზავნა ისეთ ალაგს, სადაც ექიმი არ იყო, არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ახლომახლო აგარაკის მონახვა, სადაც ყოველ ჟამს შესაძლებელი იქნებოდა ექიმის შოვნა. ვიდრე ისინი ასეთ აგარაკს მოძებნიდნენ, დრო გადიოდა და ავადმყოფობა კი თავისას არ იშლიდა.

მწერალ სანდრო შანშიაშვილის გადმოცემითაც, ვაჟა დღენიადაგ მთაში დაბრუნებას მოითხოვდა.

**„რად მკლავთ? რატომ არ წამიყვანთ ჩარგალში? გეფიცებით, თქვენ რომ მე იქ წამიყვანდეთ, სადაც ჩემი დეკა და ღვიანი მთებია, იქაურს წყალს შევსვამდე, იქაურს ჰაერს ვისუნთქავდე და ჯერ კიდევ იმდენად არ დავძაბუნებულვარ, ვიცი მოვრჩები, წამიყვათ მთაში!“** — თუმცა, სანდრო შანშიაშვილის თქმით, პოეტის ეს სურვილი შეუსრულებელი დარჩა, ისევ და ისევ ექიმების სიჯიუტის გამო:

**„არ შეიძლება მისი ადგილიდან დაძვრაო. ასეთი კატეგორიული განცხადება ჩვენს ენერგიასაც ჰკვეცავდა!“** — წერს მოგონებებში შანშიაშვილი.

ბოლოს გადაწყვიტეს, ვაჟა გადაეგზავნათ ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში, სადაც ამ დროს დაჭრილებისთვის „წმინდა ნინოს სახელობის სამხედრო ლაზარეთი“ იყო მოთავსებული.

სანდრო რაზიკაშვილი: **„ლაზარეთში ექიმი მახვილაძე ისე დასტრიალებდა თავს დღედაღამ, როგორც თავის მშობელს, ქართველი მოწყალების დებიც დარაჯებივით სულ გარს უვლიდნენ. ყოველ სამ დღეში დანარჩენი ექიმები იკრიბებოდნენ ერთად და ისე შინჯავდნენ.**

**ასე მიდიოდა დრო და იმისი ჯანმრთელობა კი დღითი დღე უარესდებოდა. მკათათვის საშინელი სიცხეები იდგა, ჯერ კარგად მყოფისათვის რა იყო იმ დროს აქ, თბილისში, ყოფნა და ავადმყოფისათვის ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იქნებოდა? არ იქნა, არა ეშველა-რა ჩვენს საზოგადოებას, რომ სადმე გაეგზავნათ და უარესად დადნა ეს კაცი“.**

ერთხელ წყაროს წყალი მოითხოვა, მამა-დავითიდან ჩამომიტანეთო. ჩამოუტანეს, მაგრამ გზაში გამთბარიყო წყალი და ვერ დალია. კიდევ, საზამთრო ჰყვარებია. ყოველდღე მიმქონდაო, იხსენებს ვაჟას ძმა, მაგრამ ერთხელაც საზამთროთი მოსაკითხად მისულს, გარდაცვლილი დახვედრია უფროსი ძმა, გენიალური პოეტი ვაჟა-ფშაველა.

* * *

ასევე გრიგოლ მუხაძის პაციენტი ყოფილა „მძიმე ავადმყოფი და სულიერად დაღლილი“ გალაკტიონ ტაბიძეც, რომელიც ასე იხსენებს ექიმთან ბოლო შეხვედრას, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე:

**„გრიგოლ მუხაძეც სულ უკანასკნელად შემხვდა ვერის ხიდზე. ასაფლავებდენ ექიმს. მუხაძე ძალზე დასუსტებული, მაგრამ უაღრესად გაბრწყინვებული სახით, მიდიოდა ნელა. უკეთ, ის მიჰყავდა ქირურგ ფიფიას. რომ დამინახეს, შეჩერდნენ.**

**„ხომ ამართლებთ გვარს, ბატონო გრიგოლ“, — ვუთხარი მე, — „ხომ ისევ ისე მუხასავითა ხართ, ა?“ „ცოტა დავსუსტდი“, — მიპასუხა მან, მაგრამ სახე უცინოდა, უბრწყინავდა, თვალები დიდი სიცოცხლით ანათებდენ. „ასე რამ გამოსცვალა ეს მკაცრი, გაუღიმარი სახე-მეთქი“, — ვფიქრობდი მე. წინად უფრო სხვა იყო. აკადემიის სხდომებზე რომ ესწრებოდა მუხაძე, უსათუოდ ვაშლს ამოიღებდა, ჯიბის დანით სუფთად გათლიდა და მთელი საღამოს განმავლობაში გემრიელად შეექცეოდა. სულ ერთია, არჩევნები იყო თუ სხვა რამ“.**

**ჯიმშერ რეხვიაშვილი**

# ტურიზმის სფეროში თანამშრომლობა ღრმავდება

**საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ნიკოლოზ რევაზიშვილის თანდასწრებით კატარის მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა ტურიზმის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჰასან ალ-იბრაჰიმმა.**

მემორანდუმი ორი ქვეყნის ტურისტულ სექტორებს შორის აქტიურ თანამშრომლობას ითვალისწინებს, რაც გულისხმობს ტუროპერატორებსა და ტურისტულ სააგენტოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას, კერძო სექტორის წახალისებას ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განხორციელების კუთხით და სხვადასხვა ერთობლივი ტურისტული პროექტების მხარდაჭერას. საქართველო, როგორც ტურისტული მიმართულება, კატარში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. ამას ხელს უწობს უვიზო რეჟიმი და ყოველდღიური პირდაპირი ფრენები დოჰა-თბილისის მიმართულებით. გასული 5 წლის განმავლობაში კატარიდან ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად ორმაგდება.



# 2018 წლის 4 თვეში ქართული ღვინის ექსპორტი 36%-ით გაიზარდა

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით 2018 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოდან მსოფლიოს 43 ქვეყანაში 25 მლნ ბოთლი ღვინის (0,75 ლ) ექსპორტი განხორციელდა, რაც 36%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 59,2 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 43% შეადგინა.**

ექსპორტის მატება დაფიქსირდა როგორც ევროპის, ისე აშშ-ის, აზიისა და ტრადიციული ბაზრების მიმართულებით: იაპონია — 139%, ჩეხეთი — 90%, დიდი ბრიტანეთი — 89%, ყაზახეთი — 84%, ნიდერლანდები — 83%, სამხრეთ კორეა 76%, ბელარუსი — 75%, გერმანია — 66%, ლიტვა — 51%, რუსეთი — 47%, ლატვია — 32%, უკრაინა — 27%, პოლონეთი — 24%, ესტონეთი — 19%, აშშ — 4% და სხვა.

ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (16246021), უკრაინა (2389280), ჩინეთი (1802792), ყაზახეთი (1108938) და პოლონეთი (1012774).



საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 147-მა კომპანიამ განახორციელა. ამასთან, იანვარ-აპრილში საქართველოდან მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 5 მლნ ბოთლი (0,5ლ) ბრენდი, რაც 17%-ით აღემატება გასული წლის 4 თვის მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში საქართველოდან მსოფლიოს 20 ქვეყანაში ექსპორტირებულია 84 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ზრდამ შეადგინა 32%. სულ, ღვინის, ბრენდის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 96,5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 28%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

# მცირე ესეი მწერლობაში ქუდბედიანობის თაობაზე

**ეტყობა, ქუდბედიანი ბევრი რამ არსებულა ამქვეყნად! თანაც ლიბო, ანუ წიაღი ქუდბედიანობისა ხშირად ამოუცნობი რჩება.**

ხდება, თან გადაჰყვება მოქანდაკე ქანდაკს, წამდაუწუმ იცვლის ჭვრეტის წერტილს, ხან აქედან უკირკიტებს საჭრეთლით, ხან — იქიდან, შედეგით მაინც უკმაყოფილოა! როგორც იტყვიან, ვაჟა-ფშაველას ნაცვლად, არსენა გამოსდის.

ასეა ფერწერაშიც, არქიტექტურაშიც და, მით უმეტეს — მწერლობაში!

მე მგონი, მსოფლიო მწერალთა, ლიტმცოდნეთა და მკითხველთა არმია საბოლოოდაა შეთანხმებული იმის თაობაზე, რომ **მიგელ დე სერვანტეს სააველრას** მართლაც ყელში ამოსვლია გვიანი შუასაუკუნეების უღრანში მოპარპაშე, საეჭვო ღირებულების მქონე ჰეროიკული სათავგადასავლო რომანები და ირონიულ-პაროდიული რომანის წერად დამჯდარა.

უშაყირებია და უგლახავებია (თავისი ჭკუით!) თანამემამულე იდალგო დონ კიხოტი, შეძლებისდაგვარად უბიაბრუებია სანჩო პანსაც და საბრალო როსინანტიც, მაგრამ რაი მერე! მაინც წააგო „ორთაბრძოლა“ — ვერ გახადა ქარის წისქვილებთან მორკინალი იდალგო ქვეყნის მასხარად!

დიახ, ვერ შედგა პაროდია, ანუ მანამდე წარმატებით მოკუნტრუშე სარაინდო რომანებს თოხარიკი არ შეუნელებიათ, — არიქა, როსინანტი გადაგვთელავსო! მაგრამ სამაგიეროდ ცათამდე ამაღლდა პროზაული ძეგლი!

დიდება, თქვენო ძლევამოსილებავ, ქუდბედიანობავ!

ნიკოლოზ გოგოლმა ყველაზე ძლიერი მხატვრული ქმნილების „მკვდარი სულების“ მეორე ტომი, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ცეცხლს მისცა! და ეს მაშინ, როდესაც უკვე აზანზარებდა რუსეთს მისი „რევიზორი“, როდესაც უკვე მძვინვარებდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ტარას ბულბას სული, როდესაც სულმოუთქმელად კითხულობდა მთელი იმპერია დიკანკის მახლობელ ხუტორში გატარებულ საღამოებს!

შე დალოცვილო, რომ დაგიხატავს სურათი და მერე წვავ, დამანახე ჯერ და მერე მაინც დაწვი! შენ არ მოგეწონა, მაგრამ, იქნებ, მე მომწონს! რაო? ჩემია და, რასაც ვუზამ, ჩემი საქმეაო? არაა მარტო შენი! უფლისაცაა და ნუ მკრეხელობ ღვთის წინაშე!

ეგ კი არადა, სულმნათმა **ნოდარ დუმბაძემ** აკაკის „ჩამოართვა“ „განთიადის“ ავტორობა, — უფალმა უკარნახა და მაგან, უბრალოდ, ჩაიწერაო!

ალექსანდრე ყაზბეგზეც მსმენია ანკრად რაღაც ამდაგვარი...

ვინ იცის, რამდენ ცოდვას სჩადიან ასეთი აბორტმახერი მწერლები!

კაი, ჩამოვქვეითდეთ ცოტათი! გენიოსებს შევეშვათ, გენიოსები ურჩი ხალხია! ეს „ცოტათიც“ მებევრება. ოდნავ!



მთაწმინდის პანთეონის მარადიულ ბინადარს, **„შენ სისხლო ჩემო“**-ს დამბადებელს, დაწვით არ დაუწვავს, მაგრამ „რჩეულში“ შესატანად არ ჩაუთვლია ეს მინი-შედევრი: **„დამგვანებიან შენი დები მოწყენილ მერცხლებს... ზეგ პლეხანოვზე პროცესია ჩაივლის ნელა, „თბილისის“ (ვაი, შენი ბრალი!) სულ ბოლო გვერდზე, დღეს პირველად და უკანასკნელად, დაბეჭდილია შენი სახელი, ბიჭო!“**

რატომო, შეუცხადებია კრებულის შემდგენელს, ბატონ **ვიქტორ გაბესკირიას**.

მეზობლის ბიჭზე დავწერე, ის უბედური მანქანამ გაიტანაო. (?!)

კი მარა, მისმა ტრაგიკულმა აღსასრულმა რომ მისი დები მოწყენილ მერცხლებს დაამგვანა, ეს არაფერი?!

გინდა დაგიწვავს, გინდ — მკითხველისთვის დაგიმალავს!

ახლა უკვე, ცოტათი!

წინეებზე მეგობარი პოეტი **მურმან ჯგუბურია** შემხვდა ქუჩაში. სხვათა შორისო, — მითხრა, — აგერ ახლა, „მარშრუტკაში“ მჯდომარემ, ეს ოთხი სტრიქონი თავში გამოვთქვიო: **„რად გავხდი შენთვის ზედმეტი ბარგი? რატომ სამსალას მასმევ, რა ჩავიდინე ისეთი კარგი, რომ შემიძულე ასე?!“**

ალბათ, „სამშობლოს“ დაარქმევ მაგ ძირმწარე რეალობას-მეთქი, ვუთხარი მოულოდნელობისაგან ნასიამოვნებმა.

გაეცინა, გულთმისანი ხარო!

არადა, რა იყო საგულთმისნო!

ასევე, სხვათა შორის, არც **ოლგა ბერგოლცს** შეუტანია თავის „რჩეულში“ ეს „Четверишие“, რომელსაც შემთხვევით წასწყდომია პოეტის პირად არქივში ცნობილი პეტერბურგელი ლიტერატურათმცოდნე იური ტომაშევსკი: „Я стала так редко смеятся, так злобно порою шутить, что люди со мною боятся, О счастии своём говорить“.



ამ ამონაკვნესს თარიღად უზის 1937 წ., როცა მისი მეუღლე, ახალგაზრდა, არახელწამოსაკრავი რუსი პოეტი ბორის კორნილოვი რეპრესიებმა იმსხვერპლა.

არ შეაქვთ „რჩეულებში“ ზოგჯერ ასეთი თვალმარგალიტები, პირადულიაო.

ჰო, მაგრამ „Ты жива ещё моя старушка“-ც ხომ პირადულია! (ესენინს უხარია, დედა რომ კვლავ ცოცხლობს!).

**მადლობა უფალს, რომ ღირსმყო „ჩვენი ლამაზი სამშობლოსათვის“ დიდხანს მეცქირა, მეალერსა და, ასევე, შეძლებისდაგვარად, მეჭირისუფლა. მაგრამ, იმ ბრძენი ბერძნის, სენეკასი არ იყოს, თუ ოთხმოცს გადაცილებული ხარ და, ამის მიუხედავად, ხელმოსაჭიდი არაფერი შეგიქმნია, ჩათვალე, რომ დიდხანს კი არ გიცოცხლია, დიდხანს კვდებოდიო!**

ჩემი დაკვირვებით, ასეთი „გადამალული“ („დახლქვეშ გადამალული საქართველო“) ლექსები, ქუდბედიანობის მადლით, თავისით იკვლევენ მწვანე გზას მკითხველისკენ.

სხვათა შორის, (რა ამბავია ამდენი!) მურმანის ზემოთ მოხმობილ დელიკატურად გაცხადებულ საყვედურში, სამშობლოსათვის რომ შეუბედავს, მესამე ტაეპი ასე იკითხებოდა: — „რა გავაკეთე ასეთი კარგი“, რაღაც არ მომეწონა ამ „გაკეთებაში“ და შევთავაზე — იქნებ, **„ჩავიდინე“**-თი შეგეცვალა-მეთქი. უყოყმანოდ დამთანხმდა და, არ დაგიმალავთ, გამეხარდა.



ამჟამად უკვე გვარიანად ჩამოვქვეითდეთ!

გვარიანად-მეთქი იმიტომ, რომ საკუთარზედაც მომიწევს ორიოდე სიტყვის თქმა. ამ წიგნებსა თუ რამდენიმე ხნის კი არა, ლამის ნახევარი საუკუნის წინათ, ძალიან რომ ამიფორიაქა სული მანამდე ჩემთვის უცნობი, სრულიად ახალგაზრდა პოეტის **მანანა ჩიტიშვილის** ლექსების კრებულმა, პირველად მივემარჯვე კალამს და მცირე ესეით გამოვეხმაურე — **„ვისაც სიმაღლე სჭირდება ჩემი“**.

„ცისკარში“ წავიღე ისე, რომ ფეხები უკან მრჩებოდა, იმდენად ქუხდა მაშინ ეს ჟურნალი, რომელსაც ავტორებიცა და მკითხველებიც ფუტკარივით ესია, რომ არ ველოდი, ისე ოპერატიულად დამიბეჭდეს; თანაც ისე, სიტყვაც არ ჩაუსწორებიათ!

მანანას არ ვიცნობდი-მეთქი, მაგრამ, მაშინ, არც ბატონ **ლადო ავალიანს** ვიცნობდი პირადად და არც, მით უმეტეს, პოეტ **შოთა ამირანაშვილს,** რომლებიც, ერთხელ კი არა, რამდენჯერაც დამინახავდნენ, სავიზიტო ბარათივით მახსენებდნენ: ოოო, რა კარგი რამ დაგიწერია მანანა ჩიტიშვილზეო!

მიკვირდა, მაგრამ მიხაროდა — ალბათ, მართლაც ძაან კაია-მეთქი. არადა, არც თვითონ მანანას და (თავს ნამდვილად არ ვიკატუნებ!) — არც მე, არიქა და ეს რა ვნახეო! — ერთხელაც არ წამოგვცდენია.

თურმე, არც მე მკითხავს ამას მკითხველი და არც — მანანას!

მე რომ მეგონა, უკეთესი ტექსტებიც მქონდა, ვთქვათ, **„ცისფერი სარაფანი“** ნოდარ დუმბაძეზე ან ვრცელი ესეი — **„მიხეილ ზოშჩენკოს უცნაური აღსასრული“,** საქები სიტყვა არავის დასცდენია დაუვიწყარი **ნოდარ დუმბაძის** გარდა.

კი, კი, ქუდბედიანი ბევრი რამ არსებულა ამქვეყნად, სულიერიც და უსულოც!

მანანა ჩიტიშვილის შემოქმედებით მარათონს, ბუნებრივია, კვალდაკვალ მივსდევ იმ ენერგიითა და გინდაც ექსტაზითაც, რის შესაძლებლობასაც უკვე ასაკი მაძლევს — ოცხმოცდაათს ვუახლოვდები!

მადლობა უფალს, რომ ღირსმყო „ჩვენი ლამაზი სამშობლოსათვის“ დიდხანს მეცქირა, მეალერსა და, ასევე, შეძლებისდაგვარად, მეჭირისუფლა. მაგრამ, იმ ბრძენი ბერძნის, სენეკასი არ იყოს, თუ ოთხმოცს გადაცილებული ხარ და, ამის მიუხედავად, ხელმოსაჭიდი არაფერი შეგიქმნია, ჩათვალე, რომ დიდხანს კი არ გიცოცხლია, დიდხანს კვდებოდიო!

ამ სირბძნეზე ხშირად ვფიქრობ ხოლმე. სულ მეჩვენება, რომ აგონიაში მყოფსაც შემახსენებს თავს და ვინძლო მთავარი სულის ამოხდომაშიც წამეშველოს, ანუ დარჩენილ დროში, ერთხელ წაკითხვად რომ მაინც ღირდეს, ისეთი რამ დამაწერინოს!

მანანასგან კი მაინც ვერ განმარტოვებულვარ.

ქუჩაში გამოტანილ **„წიგნებში“** 50 თეთრად შევიძინე ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“ (2010 წლის №4). ვხედავ, გარეკანზევეა გამოტანილი ავტორების გვარები. თვრამეტთა შორის აგერ არ შემომანათა მანანამაც!

სირცხვილი ჩემი! გამომრჩენია!

მე შენ გეტყვი და, დაგირეკავს, გაგაფრთხილებს!

ოცდაშვიდი(!) ლექსი-ელექსირი, ხელოვნური სუნთქვის ჩასანაცვლებელი უებარი საშუალება! წაიკითხავ ოცდამეშვიდესაც და კმარა, — შეგიძლია, ჟანგბადის ბალიში გამორთო!

ამ ოცდაშვიდ ამოგმინვაში მთელი ცხოვრება ჩაუტევია უფალთან ნამდვილად წილნაყარ ავტორს. მთელი თავისი ცხოვრება, სავსე უმეტესი ურვითა და — ნაკლები სიამით. პირველსავე ლექსში ავტორი ორიგინალურ ხერხს მიმართავს, რათა მტრისაგან ულვთოთ გათელილი ქსნის ხეობა კი არ შეავედროს, უბრალოდ, დაანახვოს დედა-ღვთისმშობელს:

**„შუქს თუ აფენს ახლა მთვარე, ცხმორის ციხის**
**ახლო-მახლო,**
**გამომიღეთ ზეცის კარი, ღვთისმშობელი უნდა**
**ვნახო, —**
**ქსანზე ჩემი წინაპარის, ქვედამხობა დავანახო!“**

დაიწყო ხელოვნური სუნთქვა!

და, იქვე: **„შენამდე ახლა ისე შორია, არა აქვს აზრი ცდას და მოლოდინს, მე სიყვარულით არ მიცხოვრია, მე სიყვარულის ახლო ვცხოვრობდი.“**

ამაზე მეტი სასოწარკვეთა რაღა უნდა იყოს!

შეუძლებელია, ეს სევდა არ გაითავისოს მკითხველმა. ვიმეორებ, **მკითხველმა**.

ხოლო, ამ ესეის წამკითხველი ნუ შეცდება, იმის შიშმა თუ შეიპყროს, თითქოს, ყველა ოცდაშვიდ ელექსირს ვთავაზობდე!



არა, ერთიც და ვიკმარებ: **„უნდა კლდედ წამოვიმართო, დრო ნაბადივით მოვისხა, ტანთ ჯაჭვის კაბა ჩავიცვა, შიგნით — პერანგი მოვისა, შუაზედ ჩავსვა ფრანგული, ჩემსა და სიკვდილს შორისა, არ გაგხდი, წუთისოფელო, მოწმედ ამ ჩემი გლოვისა!“**

**გიზო ზარნაძე**

P.S. საბედნიეროდ, მანანა ჩიტიშვილი არ წვავს საკუთარ ლექსებს!

ის მათ ლოცვასავით იზეპირებს.

* * *

P.P.S. მურმან ჯგუბურიამ სულაც ლექსი მომიძღვნა მანანას ლექსების სიყვარულის გამო.

ნამდვილად ქუდბედიანი ყოფილა ბევრი რამ ამქვეყნად! მათ შორის, თურმე, მცირედი ესეიც!

**გ.ზ.**

სკანდალი

# სადაა ძაღლის თავი დამარხული?



**ქართულ ძიუდოში მონასტერი აქამდეც არაერთხელ არეულა. საილუსტრაციოდ ეროვნული ნაკრებიდან მისი ყველაზე წარმატებული თავკაცის შოთა ხაბარელის სკანდალური მოკვეთის გახსენებაც კმარა, თუმცა, როგორც ჩანს, ისეთი რთული ორგანიზმი, როგორიც ქვეყნის მთავარი გუნდია, განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს, რაც, სამწუხაროდ, ყველას როდი ხელეწიფება.**

დაგვეთანხმებით, გასათვალისწინებელია ძიუდოს განსაკუთრებული როლიც ქართულ სპორტში, როგორც უმაღლესი რანგის ფორუმებზე მედლების საკმაოდ მსუყე რაოდენობის მოხვეჭით თანამემამულეთა გამხარებლისა. ამდენად, სავსებით ლოგიკურად გვეჩვენება ის აურზაური, რომელიც „ჯვაროსანთა“ სრულ ფიასკოს მოჰყვა ისრაელის დედაქალაქში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე, სადაც, პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩვენებურები ერთხელაც ვერ ავიდნენ კვარცხლბეკზე.



მართალია, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ირაკლი ცირეკიძე თანამდებობიდან დაითხოვეს, მაგრამ, ეტყობა, ამით ცეცხლი არ ჩამქრალა, რასაც გუშინ განვითარებული მოვლენები და გუნდის კაპიტან ვარლამ ლიპარტელიანის განცხადება ადასტურებს.

**„საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს სჭირდება მხარდაჭერა ფედერაციის მხრიდან, როგორც სავარჯიშო პირობების უზრუნველყოფით, ასევე სწორი მწვრთნელების შერჩევით, საერთაშორისო ასპარეზზე თანადგომისა და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებებით, რაზეც დღეს შეგნებულად შევიკავებთ თავს და არ ვისაუბრებთ ამ ფორმატში.**

**ნაკრების გადაწყვეტილებით, ფედერაციაში არსებული ჩვენთვის მიუღებელი და ამ სახეობისთვის დამაზიანებელი მდგომარეობის გამო ვაცხადებთ, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას არც ერთ ტურნირში და ვწყვეტთ ვარჯიშს, სანამ ფედერაციის პრეზიდენტი დავით ქვევხიშვილი არ გადადგება დაკავებული თანამდებობიდან.**

**იგი იკავებს სამ სხვადასხვა თანამდებობას, მათ შორის — ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარის, და ფაქტია, რომ ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. მისი მმართველობის პერიოდში ძიუდოს არ აქვს მომავალი, რაც დასტურდება მისი ექვსწლიანი მმართველობითა და შედეგებით, რაც მხოლოდ ჩვენი, სპორტსმენების თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე მიიღწეოდა და არასდროს — ფედერაციის მხარდაჭერით.**

**ამ წლების განმავლობაში ჩვენ არასოდეს გვქონია მხარდაჭერა საერთაშორისო ასპარეზზე მაშინ, როდესაც ძიუდო არის სახეობა, რომელსაც რეალურად მოაქვს შედეგები სამშობლოსთვის და აქვს საუკუნოვანი ტრადიციები საქართველოში.**

**დიდი ხანია, სხვადასხვა გზით ვცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას, როგორც ძიუდოს ერთი დიდი ოჯახი. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და უდიდესი სიამაყეა ქართული დროშის ღირსების დაცვა შეჯიბრებებზე, თუმცა, უკვე შეუძლებელია ასეთ პირობებში გაგრძელება. ავთანდილ ჭრიკიშვილი წუხელ შეგნებულად არ გაემგზავრა ბოსნიაში ტურნირზე და უერთდება ჩვენს სულისკვეთებას ძიუდოს გადარჩენისთვის.**

**ველოდებით შესაბამის ნაბიჯებს პასუხისმგებელი პირებისგან და გვსურს რეალური ცვლილებები ფედერაციაში“,** — განაცხადა ვარლამ ლიპარტელიანმა. **ცნობისთვის,** გუშინ საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრების კიდევ რამდენიმე წევრმა ფედერაციის პრეზიდენტს გადადგომისკენ მოუწოდა.

**კობა კობახიძე**

ლაქა

# ეროვნული ლიგა: უკვე მერამდენედ - ჩხუბი, მტვრევა

**თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე, გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო მატჩის ბოლოს მსაჯის მიერ გორელი ლუკა რაზმაძის გაძევების გამო ჯერ მოთამაშეებმა იკამათეს ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ დაპირისპირება გულშემატკივრებს შორის მოხდა.**

თვითმხილველთა განცხადებით, სტუმარ-მასპინძელთა ქომაგებმა ერთმანეთს ქვები ესროლეს. მათმა ერთმა ნაწილმა სტადიონზე სკამები დააზიანა და ცეცხლის მოკიდებაც სცადა. მხარეთა შორის დაპირისპირება სტადიონის გარეთაც გაგრძელდა.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, პატრულის ათობით ეკიპაჟი მომხდარი ინციდენტის აღმოფხვრას ცდილობდა. და თბილისის „დინამოს“ ფანებმა გორი პოლიციის ესკორტის თანხლებით დატოვეს.

ეროვნული საფეხბურთო ლიგის მე-9 ტურის აღნიშნული შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა.

*შინაგან საქმეთა სამინისტრო დაპირისპირებაზე განცხადებას ავრცელებს.*

*უწყების ცნობით, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.*

*„საფეხბურთო კლუბების გორის „დილასა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის მიმდინარეობისას ფეხბურთელებს შორის მოედანზე დაპირისპირება დაიწყო, ხოლო შემდეგ კონფლიქტში გულშემატკივრებიც ჩაერთვნენ.*

*სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა და შედეგად ორივე გუნდის მხარდამჭერებმა ტრიბუნებზე დაამტვრიეს და დააზიანეს სკამები.*

*სამართალდამცველთა დახმარებით ორივე გუნდის მოთამაშეებმა სტადიონი უსაფრთხოდ დატოვეს.*

*შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით დაიწყო, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს“, — ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.*

**მანუჩარ გიორგაძე**



განუკითხაობა

# ეს უკვე ტენდენციაა



**როცა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტი შეხვედრები სკანდალების ბუდედ იქცა, ევროპის ლიგაზე რაღა უნდა ვთქვათ — ფაქტია, რომ მსაჯები ორივეგან, ისევე როგორც სხვა რანგის ტურნირების მატჩების მომსახურებისას, თავს დაუსჯელად გრძნობენ. თითქოს მათი თავგასულობისთვის ლაგამი ვიდეორეფერის დანერგვას უნდა ამოედო, მაგრამ ვიდრე ტექნიკური პროგრესი ოფიციალურ საკლუბო ბატალიებში დამკვიდრდება, მანამდე, დიდი ალბათობით, კიდევ არაერთი ანალოგიური „იაღლიშის“ მომსწრენი გავხდებით.**

მოგეხსენებათ, ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის წლევანდელ სეზონში განსაკუთრებით ინგლისელმა ოლივერმა, სლოვენიელმა სკომინამ და თურქმა ჩექინმა „ივაჟკაცეს“. ისე როგორ მოხდებოდა, მარაქაში რუსი შაოსანი რომ არ გარეულიყო. და მართლაც, სერგეი კარასიოვმა ღირსეულად აუბა მხარი კოლეგებს და ავსტრიაში გაისროლა.

**„ზალცბურგი“ — „მარსელი“ 2:1**

(დამატებით დროში. ძირითადი დრო 2:0)

პირველი მატჩი 0:2

მასპინძლები შესვენების შემდეგ გააქტიურდნენ, სასტარტო ბრძოლიდან ვალად გამოყოლილი სოლიდური დეფიციტი აღმოფხვრეს და ჰაერში მორიგი სასწაულის სუნი დაატრიალეს — გემახსოვრებათ, რომ წინა ეტაპებზე მათ გაცილებით ამბიციური „დორტმუნდი“ და „ლაციო“ დააჩოქეს.

მომავალ ვნებათაღელვას საფუძველი, სავარაუდოდ, ძირითადი დროის მიწურულს ჩაეყარა, როცა დამდეგ მუნდიალზე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების სასტვენოსანმა წარმომადგენელმა თვალი დახუჭა „ზალცბურგის“- საჯარიმოში გაჩაღებული ხელბურთზე და საქმე ოვერტაიმამდე მიიყვანა.

მოკლედ, კარასიოვმა მიზნად გადაფურთხებულის ალოკვა დაისახა და საამისო საბაბი 116-ე წუთზე გამოიგონა — არარსებული კუთხური აჩუქა სტუმრებს, რომელსაც ფრანგული გრანდისთვის მხსნელი გოლი მოჰყვა — 1:2.

როდემდე?

**„ატლეტიკო“ — „არსენალი“ 1:0**

პირველი მატჩი 1:1

ამრიგად, 16 მაისს ლიონის „სტად დე ჟერლანზე“ „მარსელს“ საკუთარი კედლები კი დაეხმარებიან, მაგრამ, ესპანელთა ჭეშმარიტი შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძნელი სათქმელია, ვინ მოიპოვებს ტიტულს.

**გიორგი შოთაძე**

ალალ იყოს!

# კოკოშკოვი „ფინიქსის“ მთავარი მწვრთნელია

**იგორ კოკოშკოვი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 2008-2015 წლებში თავკაცობდა, ნბა-ს კლუბ „ფინიქს სანზის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. ეს ამბავი გუშინ გახმაურდა, რასაც სერბი სპეციალისტისთვის კონტრაქტის შეთავაზება უძღოდა წინ.**



„ფინიქსის“ გენერალური მენეჯერი რაიან მაკდონაჰი 2 დღის წინათ ჰიუსტონში იყო, სადაც „იუტა ჯაზმა“, რომლის მთავარი მწვრთნელის ასისტენტიც კოკოშკოვია, პლეი ოფის მეორე წრის სერია ადგილობრივ „როკეტსთან“ გახსნა. „ფინიქსის“ მენეჯერმა სერბ სპეციალისტს 3-წლიანი კონტრაქტი შესთავაზა, რაზეც კოკოშკოვი 2 დღეში დათანხმდა.

„ფინიქსმა“ გასული სეზონი ყველა გუნდზე უცუდესი შედეგით — 21 მოგება, 61 წაგება — დაასრულა. არიზონელთა ხელმძღვანელობას ახალი გუნდის ფორმირება გაწუზრახავს და ახალგაზრდა სუპერვარსკვლავ დევინ ბუკერთან ერთად ერთ-ერთ საყრდენად იგორ კოკოშკოვი შეარჩია. სერბი სპეციალისტის მთავარ მწვრთნელად დანიშვნით თითქმის გადაწყდა, რომ მომავალ დრაფტზე პირველი ნომრის მფლობელი ფინიქსელები სლოვენიელ ვარსკვლავს ლუკა დონჩიჩს აიყვანენ. დონჩიჩთან ერთად კოკოშკოვმა გასულ სექტემბერს სლოვენიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობა მოაგებინა და, დიდი ალბათობით, სერბი სპეციალისტი სლოვენიელ ვარსკვლავთან ნბა-შიც გააგრძელებს თანამშრომლობას.

სლოვენიის ნაკრებამდე კოკოშკოვი საქართველოს ეროვნულ გუნდს წვრთნიდა, რომელიც ევროპის „ბ“ დივიზიონიდან ელიტაში ალაზევა, შემდეგ კი კონტინენტის საუკეთესო 12 ნაკრებში შეიყვანა. კოკოშკოვმა ქართველებს 3 ევრობასკეტზე უთავკაცა და 2-ჯერ ჯგუფიდან გაიყვანა.

კოკოშკოვი NBA-ს რამდენიმე კლუბში მუშაობდა ასისტენტად: „კლიპერსში“ (2002-2003), „დეტროიტ პისტონზში“ (2003-2008), „ფინიქს სანზში“ (2008-2013), „კლივლენდ კავალიერზში“ (2013-2014), „ორლანდო მეჯიქში“ (2015) და „იუტა ჯაზში“ (2015-2018).

იგორ კოკოშკოვი პირველი არაამერიკელი ასისტენტია, რომელიც NBA-ს ჩემპიონი გახდა. მან 2004 წელს დეტროიტში მუშაობისას შეძლო NBA-ს მოგება, 2010 წელს კი ამერიკის მოქალაქეობა მიიღო.

შეთანხმების თანახმად, კოკოშკოვი ფინიქსში მუშაობას პლეი ოფში „იუტა ჯაზის“ ასპარეზობის დასრულების შემდეგ შეუდგება. ცნობისთვის, იუტელებმა რეგულარული ჩემპიონატის მომგებ ჰიუსტონს მეოთხედფინალურ სერიაში ანგარიში გაუთანაბრეს 1:1 და მოედნის უპირატესობას დაეუფლნენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# წარმატების საიდუმლო

**თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის, მადრიდის “ატლეტიკოს“ არგენტინელი მესაჭის დიეგო პაბლო სიმეონეს შესახებ საფეხბურთო კუთხით, ფაქტობრივად, ყველაფერი ვიცით, თუმცა, ბევრმა ალბათ არ იცის, თუ ვინაა მისი მეორე ნახევარი, რომელსაც, სხვათა შორის, სკანდალური სპეციალისტი მუდმივად აქებს და სიყვარულს ეფიცება.**

დიეგოს ცოლი გახლავთ იტალიური ფესვების მქონე ყოფილი არგენტინელი მოდელი კაროლინა ბალდინი, რომელიც, სანამ სიმეონეზე დაქორწინდებოდა, გულისსწორს (მაშინ ჯერ კიდევ ფეხბურთელს) ორი წლის მანძილზე ხვდებოდა და მხოლოდ ამის შემდეგღა შედგა წყვილის ოფიციალური ქორწინება.



ცოლისგან მხარდაჭერილი დიეგო პაბლო მერე რასაც სჩადის, მადრიდის “ატლეტიკოს“ ევროპის ლიგის ფინალში გასვლითაც დადასტურდა...




## ბრიტანეთის მთავრობა BREXIT-სთვის მზად არ არის

გარემოს დაცვის, სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ასევე ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის სამინისტრომ განაცხადა, რომ მათ მომზადებას ხელს უშლის გაურკვევლობა, ევროკავშირთან მომავალი თანამშრომლობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის კონტროლის კომიტეტის განცხადებით, არა მხოლოდ სამინისტროებმა, არამედ მრავალმა საწარმოებმა არ იციან, თუ როგორ მოემზადონ Brexit-სთვის.

დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი იმედოვნებენ, რომ ივნისში გამართულ სამიტზე მოლაპარაკებებში წარმატების მიღწევას შეძლებენ, თუმცა ტერეზა მეი კვლავ აწყდება რიგ დაბრკოლებებს თავისი ქვეყნის მთავრობაში.

ევროკავშირთან სამომავლო თანამშრომლობის ფორმატის გაურკვევლობის გამო, სამინისტროებს არ შეუძლიათ, მიაწოდონ კომპანიებსა და აქციონერებს აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მათ, მოემზადონ Brexit-სთვის.

## რომან პოლანსკი გარიცხეს

რეჟისორი რომან პოლანსკი და კომიკოსი ბილ კოსბი ამერიკული კინემატოგრაფიის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრობიდან გარიცხეს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს აკადემია აწარმოებს კინოპრემია „ოსკარის“ გადაცემას.

გასულ თვეში კომიკოსი მსახიობი, რეჟისორი, პროდიუსერი, სცენარისტი და მუსიკოსი ბილ კოსბი დამნაშავედ იყო ცნობილი სექსუალურ ძალადობაში. ხოლო რომან პოლანსკიმ აღიარა თავისი დანაშაული არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის გამო — 1977 წელს მისი პარტნიორი იყო 13 წლის გოგონა.



ასევე პროდიუსერი, ჰარვი ვაინშტეინი იქნა გარიცხული კინოაკადემიიდან გასულ წელს, სექსუალური შეურაცხყოფისა და გაუპატიურების ბრალდებებით.

## თურქული სასტუმროები კოტრდებიან?

თურქები ცდილობენ, თავი დაიცვან ბრიტანელი ტურისტების მრავალრიცხოვანი სარჩელისგან.

თურქეთის სასტუმროებში, მათი მფლობელები ფართომასშტაბიან ვიდეომეთვალყურეობის კამერებს დაამონტაჟებენ და ასევე დაიქირავებენ დეტექტივებს, რათა ამ გზით დაიცვან თავი ბრიტანელი ტურისტების სარჩელისგან, რომელმაც საერთო ჯამში შეძლეს, მიეღოთ უცხოური სასტუმროებიდან 370 მილიონი ფუნტი კომპენსაციის სახით გასულ წელს.

## ჰავაიზე ვულკანი გააქტიურდა

ჰავაის კუნძულების ხელისუფლებამ ვულკანი კილაუეას ამოფრქვევის გამო მოსახლეობის ევაკუაცია გამოაცხადა. ნათქვამია ქვეყნის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის განცხადებაში.

მოხდება დასახლება ლეილანი-ესტეიტსის მოსახლეობის ევაკუაცია, რომლის საზღვრებამდეც უკვე მიაღწია ვულკანურმა ლავამ. ევაკუირებულია 10 ათასამდე ადამიანი, — ნათქვამია განცხადებაში.

ცნობისთვის, ამოფრქვევა ხდება სეისმური აქტივობის ფონზე. კილაუეა ჰავაის კუნძულებზე მდებარეობს. ის ყველაზე აქტიური მოქმედი ვულკანია დედამიწაზე.

# თამარ მეარაყიშვილმა ცხინვალში სასამართლო პროცესი მოიგო

**ცხინვალის დე ფაქტო რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ფატიმა პარასტაევამ განაჩენი ახალგორელ სამოქალაქო აქტივისტ თამარ მეარაყიშვილის სასარგებლოდ გამოიტანა.**



საქმე ეხებოდა დე ფაქტო გენპროკურატურის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს, რომელშიც თამარი უწყებას მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ აღძვრაში ადანაშაულებდა.

**ცნობისთვის: ცხინვალის ხელისუფლებას მეარაყიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ორი საქმე აქვს აღძრული, მათგან პირველი — მმართველი პარტია „ერთიანი ოსეთის“ წინააღმდეგ „ცილისწამებასთან“ დაკავშირებით. გასული წლის 25 აგვისტოს თამარმა ამასთან დაკავშირებით სარჩელი წარადგინა. სამოქალაქო აქტივისტი და მისი ადვოკატი თვლიან, რომ „ცილისწამების“ ბრალდება უსაფუძვლოა და მტკიცებულებათა არარსებობის საფუძველზე მის მიმართ დევნა უნდა შეწყდეს.**

ცხინვალის სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ თამარ მეარაყიშვილის მიმართ საქმე უნდა გადაიხედოს. თუმცა წინასწარი ინფორმაციით, დე ფაქტო გენპროკურატურა განაჩენს შემდგომ ინსტანციაში — „უზენაეს სასამართლოში“ გაასაჩივრებს.

აღსანიშნავია, რომ ოს ძალოვნებს მეარაყიშვილისთვის ამ დრომდე არ დაუბრუნებიათ მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებული პირადი ნოვთები და საბუთები, რის გამოც იგი ოკუპირებული რეგიონის ტერიტორიას ვერ ტოვებს.

# მერკელი, მაკრონი და პოროშენკო ერთმანეთს 10 მაისს აახენში შეხვდებიან



ბერლინში, ვარაუდობენ, რომ გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის, საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონისა და უკრაინის პრეზიდენტის პეტრო პოროშენკოს ხანმოკლე შეხვედრა 10 მაისს აახენში გაიმართება, — განაცხადა გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მარტინ ფიცმა ბრიფინგზე. **„ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს შეხვედრა გაიმართება“,** — განაცხადა ფიცმა და დასძინა, რომ კანცლერმა უკვე აღნიშნა, რომ ხანმოკლე შეხვედრა გაიმართება დაჯილდოვების ცერემონიალზე“. ცნობისთვის, კარლოს დიდის სახელობის ჯილდო გადაეცემა 10 მაისს აახენში, პრეზიდენტ მაკრონს, სადაც ანგელა მერკელი მისასალმებელი სიტყვით გამოვა.

## საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# განცხადება

### ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი) ახორციელებს საერთაშორისო მნიშვნელობის E-70 ჩქაროსნული საავტომობილო გზის გრიგოლეთი-ქობულეთის შემოსავლელი საავტომობილო გზის (კმ0+000-კმ14+400) მშენებლობის პროექტს (შემდგომში - პროექტი).

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცა მოქალაქეების: ლიდა ხითარიანის (პ/ნ 33001024923), ნათელა ხითარიანის (პ/ნ 33001016234), ნარინე ხითარიანის (პ/ნ 33001078538), ნინო ხითარიანის (პ/ნ 33001016235), რადმილა ხითარიანის (პ/ნ 33001030080) და ჯულიეტა ხითარიანის (პ/ნ 33001059576) თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 26.34.03.121; ნაკვეთის წინა ნომერი: 26.02.01.209) (მის.: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი შრომა 2 (ჩირე)) 2700 კვ.მ-ის მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობი (შემდგომში - საექსპროპრიაციო ქონება).

დეპარტამენტის მხრიდან წარმოებული მოლაპარაკებების მიუხედავად, მოქალაქეებთან ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება საექსპროპრიაციო ქონების მორიგებით გამოსყიდვის თაობაზე. მედიაციის რესურსის ამოწურვის შემდეგ, მოქალაქეებს დამატებით, წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, პროექტის ფარგლებში შედგენილი მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით განსაზღვრული ღირებულების სანაცვლოდ. მოქალაქეები ინფორმირებული იყვნენ, რომ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დეპარტამენტი იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაბამისად, რაც ითვალისწინებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით და კანონის დანაწესის შესაბამისად, დეპარტამენტმა დაიწყო ექსპროპრიაციის პროცედურები.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 30 აპრილის 1-1/217 ბრძანებით, დეპარტამენტს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მოქალაქეების: ლიდა ხითარიანის (პ/ნ 33001024923), ნათელა ხითარიანის (პ/ნ 33001016234), ნარინე ხითარიანის (პ/ნ 33001078538), ნინო ხითარიანის (პ/ნ 33001016235), რადმილა ხითარიანის (პ/ნ 33001030080) და ჯულიეტა ხითარიანის (პ/ნ 33001059576) თანასაკუთრებაში არსებულ საექსპროპრიაციო ქონებაზე. ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე 2018 წლის 03 მაისს.

დეპარტამენტი, უახლოეს მომავალში მიმართავს სასამართლოს, საექსპროპრიაციო ქონებაზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით.

# სად, რა, როდის, ვინ?

## თარიღი, მოვლენა, შეფასება

### 1919 წლის 7 მაისს

ვლადიმერ ულიანოვმა (ლენინმა) სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარეს ფელიქს ძერჟინსკის გაუგზავნა მითითება (№13.666-2) „ხუცებთან და რელიგიასთან ბრძოლის შესახებ“, რომელიც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელი მრევლის დევნის გაძლიერების მოწოდება იყო.

### 305 წლის 1 მაისს

გადადგა რომის იმპერატორი დიოკლეტიანე, რომელიც დაუნდობლად დევნიდა ქრისტიანებს, ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა და მათი უფლებები აღადგინა დიოკლეტიანეს მემკვიდრემ იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში გალერიუსმა 311 წლის 30 აპრილს ნიკომედიაში გამოცემული ედიქტით. რამდენიმე დღეში, იმავე მაისში, გალერიუსი გარდაიცვალა.

### 1213 წლის 1 მაისს



გარდაიცვალა საქართველოს მეფეთა მეფე და დედოფალი და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელი თამარი. დაკრძალეს გელათში. ქართულმა ეკლესიამ თამარი წმინდანად შერაცხა.

### 1821 წლის 5 მაისს

წმინდა ელენეს კუნძულზე კუჭის კიბოთი გარდაიცვალა იქ 1815 წელს გადასახლებული საფრანგეთის ყოფილი იმპერატორი, გენიალური მხედართმთავარი ნაპოლეონ ბონაპარტი.

### 1429 წლის 8 მაისს

16 წლის გლეხის ქალის ჟანა დარკის სახალხო ლაშქარმა ინგლისელთა ალყისგან გაათავისუფლა ქალაქი ორლეანი. ამას სხვა ფრანგული ქალაქების გათავისუფლება მოჰყვა.



ინგლისელთა წინააღმდეგ საერთოსახალხო ბრძოლის მეთაური ჟანა დარკი — ორლეანელი ქალწული ერესის ბრალდებით კოცონზე დაწვეს 1431 წლის 30 მაისს.

### 1802 წლის 8 მაისს

ტფილისში მუშაობა დაიწყო პირველმა რუსულმა ადმინისტრაციამ — „საქართველოს უზენაესმა მთავრობამ“.

### 1923 წლის 19 მაისს

დახვრიტეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად 1924 წლის აჯანყების მოსამზადებელი და სახელმძღვანელო სამხედრო ცენტრის მეთაურები: გენერლები კ. აფხაზი, ა. ანდრონიკაშვილი და ვ. წულუკიძე, ოფიცრები რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ე. გულისაშვილი, ა. მაჭავარიანი, დ. ჩრდილელი, ს. მუხრანბატონი, ვ. ყარალაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, მ. ზანდუკელი, ი. კერესელიძე, ს. ჭიაბრიშვილი და ი. ქუთათელაძე.

# ალექსანდრე ჩხეიძის ნათელ ხსოვნას

საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ეროვნული ლოგისტიკის სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ალექსანდრე ჩხეიძე.

წავიდა ჩვენგან უაღრესად კეთილშობილი, შეუბღალავი სახელისა და ავტორიტეტის, მაღალი ზნეობისა და მოქალაქეობრივი პრინციპების მქონე პიროვნება, რომელმაც სახელოვნად განვლო ცხოვრებისეული გზა და შთამომავლობას ქვეყნისა და ხალხის საქმისათვის თავდადების ჭეშმარიტი მაგალითი დაუტოვა.



ბატონი ა. ჩხეიძე დაიბადა 1938 წლის 26 ოქტომბერს ჩხეიძეთა სახელოვან, ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში. 1956 წელს მან წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1961 წელს საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი სპეციალობით „ავტომობილები და ტრაქტორები“, და შრომითი საქმიანობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში. აქ მიღებულმა მდიდარმა გამოცდილებამ განაპირობა მისი დაწინაურება საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს აპარატში, სადაც 1968-90 წლებში ნაყოფიერად იღვაწა სხვადასხვა თანამდებობაზე. 1990-92 წ.წ. იყო საქართველოს ტრანსპორტის მინისტრი. ამ საპასუხისმგებლო პოსტზე მუშაობისას ნათლად გამოვლინდა მისი მაღალი მორალური თვისებები და პროფესიონალიზმი. მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე, არასტაბილური პოლიტიკური და სოციალური ვითარებისა, ბატონი ალექსანდრეს უნარიანი ხელმძღვანელობით საქართველოს ტრანსპორტის არც ერთ სახეობას არ შეუწყვეტია ფუნქციონირება, რასაც ქვეყნისათვის მაშინ სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

1992 წლიდან ბატონმა ალექსანდრემ თავისი ცხოვრებისეული საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს. ამ პერიოდიდან მოყოლებული 15 წლის მანძილზე მან, როგორც დიდი ტრადიციების მქონე სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანმა, თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა ახალგაზრდა სპეციალისტთა აღზრდას. იმავდროულად, 1995 წლიდან, იგი იყო საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდთა ასოციაციის პრეზიდენტი. სარგებლობდა რა უაღრესად დიდი საერთაშორისო ავტორიტეტით, ბატონი ალექსანდრე ღირსეულად წარმოაჩენდა მშობლიური ქვეყნის ინტერესებს პროფესიონალურ და მენეჯერულ დონეზე, „კოლეგა“ ქვეყნების ინტერესების გათვალისწინებით.

მრავალმხრივი იყო ბატონი ალექსანდრეს სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა. 1988 წელს დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, მას მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა სრულიად ახალი მეცნიერული სკოლა, სადაც ავტომობილების ექსპლუატაციის ხანგრძლივობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ასამაღლებლად წარმოებს ახალი ტიპის საზეთი მასალებით დამუშავებისა და გამოყენების პრობლემების კვლევა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. ჩხეიძის მონაწილეობა აღმოჩენის დონის იმ ტრიბოლოგიური თვისობრივად ახალი მოვლენისა, რაც დაფიქსირდა ჩატარებული კვლევების პროცესში.

ბატონი ალექსანდრე 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის 2 მონოგრაფიის, 5 სახელმძღვანელოსი და 10 გამოგონების. ნაშრომთა ნაწილი გამოქვეყნებულია აშშ-ში, ჩეხეთში, ფინეთში, უნგრეთში, პოლონეთში, რუსეთში, ლიტვაში, აზერბაიჯანსა და სხვაგან. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე დისერტაცია, იგი წარმატებით უძღვებოდა მაგისტრანტებისა და დოქტორანტების საქმიანობას.

ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოებაში ბატონი ალექსანდრეს მაღალი ავტორიტეტის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ 2008 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა აკადემიის წარმატებით ფუნქციონირების საქმეში.

პროფესორ ალექსანდრე ჩხეიძის მრავალმხრივი მოღვაწეობა აღინიშნა ორი სახელმწიფო პრემიით, საქართველოს ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის წოდებით. ის იყო IRU-ს საპატიო წევრი. დაჯილდოებულია „წითელი დროშისა“ და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, „ღირსების მედლით“ და „ღირსების ორდენით“.

ასევე მასშტაბური და წარმატებულია ბატონი ალექსანდრეს საზოგადოებრივი მოღვაწეობა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, მათ შორის საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის რანგში.

საოცრად დიდი პიროვნება გახლდათ ბატონი ალექსანდრე. გულით განიცდიდა ყველაფერს, რაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და საქართველოს საინჟინრო აკადემიის სახელთან იყო დაკავშირებული.

ბატონი ალექსანდრე ჩხეიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა განვლოს ცხოვრება ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილმა და საზოგადო მოღვაწემ, ღირსეულმა მეცნიერმა, აღმზრდელმა და პედაგოგმა, რომელმაც ძალზე ბევრი საშური საქმე გააკეთა თავისი ქვეყნისათვის, განსაკუთრებით მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში, რაც უკვდავყოფს მის ნათელ სახელს.

პროფესორი ალექსანდრე ჩხეიძე ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს საქართველოს ისტორიაში, როგორც მეცნიერი და ახალგაზრდობის აღმზრდელი, მისი ღვაწლი ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნის წინაშე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონ ალექსანდრე ჩხეიძის სული.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,**
**საქართველოს საინჟინრო აკადემია**

# ალექსანდრე ჩხეიძის ნათელ ხსოვნას

დიდი პიროვნება დააკლდა ქვეყანას.

საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ, სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საინჟინრო კადრების სახელოვანი აღმზრდელი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე-პრეზიდენტი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატი ალექსანდრე ჩხეიძე მეგობრების ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება, როგორც კაცობის, ძმობისა და მეგობრობის ეტალონი, პირდაპირი, ყოველთვის გულმართალი და ზედმიწევნით ყურადღებიანი მეგობრებისა და კოლეგების მიმართ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**ა. ფრანგიშვილი, ვ. გორგიძე, გ. ჯავახაძე, ჯ. იოსებიძე,**
**ლ. კლიმიაშვილი, ზ. გასიტაშვილი, დ. გურგენიძე, გ. აბდუშელიშვილი,**
**რ. სტურუა, შ. ნაჭყებია, რ. არველაძე, მ. ზაკუტაშვილი, თ. შილაკაძე,**
**ნ. მექმარიაშვილი, გ. აბრამიშვილი, გ. სალუქვაძე, დ. გორგიძე.**

# დიდი პატრიოტი, შეუპოვარი მებრძოლი



**ალეკო ჩხეიძე...** ნუთუ შესაძლებელია წარსულ დროში საუბარი ამ სიცოცხლით სავსე, მჩქეფარე ენერგიის ადამიანზე, რომელმაც ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე ნათლად აჩვენა, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, მოქალაქემ, პატრიოტმა, ოჯახზე, მეგობრებზე, სამშობლოზე შეყვარებულმა და სამშობლოსთვის თავდადებულმა კაცმა.

ხანგრძლივი ცხოვრების გზაზეო, ვთქვით ზემოთ, მაგრამ 80 წელი ძალიან ცოტაა ისეთი შემართების, შეუპოვარი მებრძოლის, განათლების, მეცნიერების, ეკონომიკის მართვის უმაღლეს საფეხურზე მოღვაწე ადამიანისთვის, როგორიც იყო ალეკო ჩხეიძე.

ძალიან ძნელია, ერთ წერილში მოვათავსოთ ალეკო ჩხეიძის მცირე თუ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე გამარჯვებების თუნდაც ჩამონათვალი, მისი საქმიანობა უმაღლეს შეფასებებს იმსახურებდა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, რადგან არეალი მისი მოღვაწეობისა ფართო იყო და მოიცავდა მთელ რიგ ქვეყნებს.

ალეკო ჩხეიძე გახლდათ ორგზის საქართველოს სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი, საერთაშორისო საავტომობილო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, უკრაინის საპატიო ტრანსპორტელი, დაჯილდოებული იყო საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის კავშირის IRU-ს ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით.

ცხადია, მძიმეა დანაკარგი ოჯახისთვის, მაგრამ არანაკლებ მძიმეა დანაკარგი მისი შვიდ ათეულზე მეტი ხნის, ბავშვობიდან შეზრდილი, მრავალ ჭირსა თუ ლხინში გამოვლილი მეგობრებისათვის, რომლებსაც მზრუნველობას და გვერდში დგომას არასოდეს აკლებდა.

მსუბუქი იყოს ქართული მიწა შენთვის, ჩვენო საყვარელო მეგობარო.

**ზურაბ ამაშუკელი, ანზორ ახვლედიანი, ჯემალ გოგიჩაძე, მიხეილ ესაკია, ირაკლი მეგრელიშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, მერაბ ნიკოლაიშვილი, თამაზ ჩხიკვაძე, ლუარსაბ (საბა) ჭელიძე.**

ანზორ ახვლედიანი, მარინა ჭოხონელიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

## ალეკო ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და მეგობრებს.

---

ლალი ჩხეიძე, გივი ჯაფარიძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი, უახლოესი ადამიანის

## ალექსანდრე ჩხეიძის

გარდაცვალებას.

---

თამაზ ჩხიკვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის

## ალეკო ჩხეიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## სანთელი

მეუღლე ნანა ამაშუკელი, ძმა პეტრე, და რუსუდანი, შვილები გიორგი, ნინი ჩხეიძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

### ალექსანდრე ჩხეიძე

პანაშვიდი 5 V, მისამართი: ჭავჭავაძის პროსპექტი 58 (ჭავჭავაძისა და კავსაძის კუთხე), გამოსვენება 6 V, საბურთალოს ეკლესიიდან.

---



ბორის სარალიძე, ნოდარ მეძმარიაშვილი, თამაზ შილაკაძე ღრმა მწუხარებითა და დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაეცვალათ ძვირფასი მეგობარი, ჩინებული პიროვნება, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

### ალექსანდრე ჩხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და სანათესავოს.

---

საქართველოს საინჟინრო აკადემიის საგზაო-სატრანსპორტო სისტემებისა და ინფრასტრუქტურის განყოფილება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მაღალი რანგის სპეციალისტი

### ალექსანდრე ჩხეიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

არასამთავრობო ორგანიზაცია „გზა, ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა" გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა სატრანსპორტო სისტემათა მაღალი რანგის სპეციალისტი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

### ალექსანდრე ჩხეიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

მეგობრები თამაზ ტუღუში, ზაურ გიორგაძე, გუჯა ბუბუტეიშვილი, დევი, ანდრო ჩხიკვიშვილები, ირაკლი თევდორაშვილი, ვალერი მოქერია ღრმა მწუხარებით ვუსამძიმრებთ პეტრე ჩხეიძეს ძმის

### ალექსანდრე ჩხეიძის

გარდაცვალების გამო.

---



სატრანსპორტო კომპანია „U&G AGENCY" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 2018 წლის 3 მაისს გარდაიცვალა კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხელმძღვანელი, საქართველოს საერთაშორისო საავტომობილო გადამზიდავთა ასოციაცია „GIRCA"-ს საპატიო პრეზიდენტი, ბატონი

### ალექსანდრე პეტრეს ძე ჩხეიძე.

ბატონი ალექსანდრე იყო არაჩვეულებრივად თბილი, გულისხმიერი, ყურადღებიანი და თავმდაბალი ადამიანი.

მადლობა ბატონ ალექსანდრეს იმ დიდი სიყვარულისთვის, თანადგომისთვის, სიკეთისთვის, მეგობრობისთვის და ბედნიერი წუთებისთვის, რომელსაც იგი თითოეულ ჩვენგანს ჩუქნიდა წლების განმავლობაში.

პეტროვიჩ, ძალიან გვიყვარხარ, თქვენი ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება ჩვენს გულებში.

# ბარში თამბაქოს მოწევას დაპირისპირება მოჰყვა

**თამბაქოს მოწევის გამო ქუთაისში მოქალაქეებს, პატრულსა და ერთ-ერთი ბარის მფლობელს შორის დაპირისპირება მოხდა. კონფლიქტი ერთ-ერთ ბარში, დაწესებულების დაცვის თანამშრომელსა და ორ კლიენტს შორის დაიწყო, რის შემდეგაც პატრული გამოიძახეს. პოლიციამ ორი პიროვნება დააკავა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ კი დღეს ორივე მათგანი 250 -250 ლარით დააჯარიმა.**

მათ ბრალად წვრილმანი ხულიგნობა და პატრულისათვის წინაალმდეგობის გაწევა ედებოდათ. ბარი კი, სადაც კონფლიქტი დაიწყო, 500 ლარით დააჯარიმეს, რადგან შენობაში მოწევის აკრძალვის შესახებ ინფორმაციის შემცველი სტიკერები გამოკრული არ იყო.

## დღესასწაული

# გიორგობას გილოცავთ!

**6 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს გიორგობას. დიდმოწამე გიორგი საქართველოს განსაკუთრებული მფარველი წმინდანია, ძლევაშემოსილი და სასწაულმოქმედია.**

...გადმოცემით ცნობილია, რომ წმინდა გიორგი ხშირად ხილულადაც იბრძოდა ქართველთა ლაშქარში.

საგულისხმოა ისიც, რომ ძალიან ბევრ ევროპულ ქვეყანაში საქართველოს, წმინდა გიორგის სახელის მიხედვით, „გეორგიას" ეძახიან. საქართველოს თორმეტი მეფეც ხომ გიორგის სახელს ატარებდა!

ნიშანდობლივია ისიც, რომ საქართველოში ეკლესიების უმეტესობა წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელზეა აგებული.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს: **„ღვთის განგებით ქართველი ერი უშუალო მფარველობისთვის ჩაბარდა წმინდა გიორგის. იგი საქართველოს მფარველი და სასოა, მისი ფარი და მახვილია".**



# აღდგომიდან V - სამარიტელის კვირიაკე

**6 მაისს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია სამარიტელის კვირიაკეს დღესასწაულობს.**

...უფალმა გაიგო, რომ იესო უფრო მეტ მოწაფეებს იძენს, ვიდრე იოანე. მან მიატოვა იუდეა და გალილეას წავიდა. გზად გაიარა სამარეის ქალაქში — სიქარში. იქ იყო იაკობის წყარო, სადაც შეისვენა. ამ დროს სამარიტელი ქალი წყლის ამოსაღებად მოვიდა. იესომ სთხოვა, წყალი დამალევინეო. სამარიტელმა ქალმა არ დაალევინა. იესომ ასე მიმართა ქალს: **„რომ იცოდე ღმრთის საბოძვარი, ვინც გეუბნება წყალს თვითონვე თხოვდი, და მოგცემდა შენ ცოცხალ წყალს... დაუძახე შენს ქმარს. მაგრამ შენ 5 ქმარი გყავდა. ახლა ვინც გყავს, ის შენი ქმარი არ არის"**. სამარიტელმა ქალმა უთხრა იესოს: „ვიცი რომ მოვა მესია, რომელსაც ჰქვია ქრისტე. როცა ის მოვა, ჩვენ გვაუწყებს ყველაფერს".

საგულისხმოა ისიც, რომ იესომ უთხრა სამარიტელ ქალს: „ღმერთი სულია და მისი თაყვანისმცემლებიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს...

**გიული ლიპარტია**

---

## ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს

# განცხადება

## „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 25 აპრილის №1-1/203 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის ფარგლებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერით, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" და შპს „აჭარისწყალი ჯორჯია" აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში ერთობლივად ახორციელებენ ენერგეტიკის განვითარების პროექტებს, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 08 დეკემბრის №2574 განკარგულებით მოწონებული და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის 1-1/579 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის" შემადგენელ ნაწილს.

ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) დაფინანსებით ხორციელდება ახალციხე-ბათუმის 220 კვ ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რათა მოხდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახალი ჰესების („შუახევის და „კორომხეთის" ჰესების) მშენებლობის შედეგად გამომუშავებული ელექტროენერგიის გადაცემა, განაწილება ან/და ექსპორტი. გარდა ამისა, რეგიონში ახალი 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის არსებობა მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ენერგომომარაგების სტაბილურობას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და აამაღლებს ქვეყნის ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას.

220 კვ საჰაერო ორჯაჭვა ელექტროგადამცემი ხაზის „ახალციხე-ბათუმის" პირველი სეგმენტის მეორე სექციის (კმ 30.8 - კმ 57.91) მონაკვეთებზე პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას წარმოიშვა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს მიერ გამოსყიდვის აუცილებლობა. აღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს წერილობით ეცნობათ განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცათ პროექტის ფარგლებში მოქცეული საკუთრების ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმით (RAP) განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის სანაცვლოდ. ამავე შეტყობინებით თანამესაკუთრეები ინფორმირებული იყვნენ, რომ მათი უარის შემთხვევაში, ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და პროექტის ფარგლებში მოქცეულ მათ საკუთრებაზე/საკუთრების ნაწილზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავდა კანონმდებლობით დადგენილ ღონისძიებებს. ზემოთხსენებული პროექტის ფარგლებში ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-ს მიერ უძრავი ქონების გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება მიღწეული იქნა მესაკუთრეების უმეტეს ნაწილთან, ხოლო შეთანხმებამიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილული იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის 1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2018 წლის 25 აპრილს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 1-1/203 ბრძანება **„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-სათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე"**, რომლითაც ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა, ადიგენის რაიონში, სოფ. ლელოვანში, ლელოვანი-აქეთა ხუროში, მდებარე და ვარდო ქამადაძის (პ/ნ 61009018232), ზურაბ ქამადაძის (პ/ნ 03001014609), მალხაზ ქამადაძის (პ/ნ 03001021829), თამარ ქამადაძის (პ/603001016584) და მერაბ ქამადაძის (პ/ნ 03001016561) თანასაკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

- უძრავი ქონების საკადასტრო კოდი - 61.15.25.100. საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 2 060 კვ. მ-ის **ნაწილი - 358 კვ. მ.**

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" უახლოეს ხანებში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების თანამესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

# ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | | **ობიექტი № 1** |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>გ) რკინიგზის ხიდთან საფრთხეშემცველი ცვლილებების გამოვლენის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა“ იტოვებს უფლებამოსილებას მოითხოვოს ინერტული მასალების მოპოვების შეჩერება.;<br>დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ე) ლიცეზნიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>ვ) ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>თ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ი) სალიცენზიო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიის გასხვისების შემთხვევაში, ლიცენზიის მფლობელი არ შეუზღუდავს აღნიშნული ტერიტორიის მესაკუთრეს ხელშეკრულებით განსაზღვრული საპრივატიზებო პირობების შესრულების უზრუნველყოფას.<br>კ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>მ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით |
| | | სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ სენაკის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 22 500 $მ^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ სენაკის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 289 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 828,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 029 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 7 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | | **ობიექტი № 2** |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 48 2571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.<br>დ) ლიცენზიანტმა ქვიშა-ხრეშის ტრანსპორტირება უნდა აწარმოოოს მხოლოდ მითითებული მარშრუტით, ნოსირი-გეჯეთი-ნოქალაქევის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზით.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის |
| | | შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოტიანეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურზე „ტეხურისპირის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - (P + $C_1$) მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა ორივე უბანზე - 73 935 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. კოტიანეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 49 568 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4 956,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10 % თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 157 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 7 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| | | **ობიექტი № 3** |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს ნავთობის ლიკვიდირებულ ჭაბურღილთან შეუფერხებელი გადაადგილება ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭითაწყარის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩხოუშის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 256 920 $მ^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭითაწყარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 172 247 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 17 224.7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 17 425 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 7 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით;<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოირემეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩხოუშის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 131 160 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოირემეს მიმდებარე ტერიტორია |
| | ადგილმდებარეობა | |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 87 934 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 8 793.4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 8 993 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 7 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვებითი სამუშაოების პროცესში უზრუნველყოს მთელი ტერიტორიის ფარგლებში საავტომობილო გზის ელემენტების და წყალმომცილებელი საშუალებების ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს სახნავ-სათიბი სავარგულების დამცავი ინფრასტრუქტურა, რათა არ დაზარალდეს ადგილობრივი მოსახლეობა მდინარე ხელედურის მიერ.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" |

| | | |
|---|---|---|
| | | ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხელედის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხელედულას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 173 250 მ$^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხელედის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 116 152 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11 615,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს 10% თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 11 815 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 7 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური |
| | სარგებლობისათვის | მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>გ) რკინიგზის მიწის ვაკისთან ან რკინიგზის ხიდთან საფრთხეშემცველი ცვლილებების გამოვლენის შემთხვევაში, სს „საქართველოს რკინიგზა“ იტოვებს უფლებამოსილებას მოითხოვოს ინერტული მასალების მოპოვების შეჩერება.;<br>დ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მოქმედი წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ე) ლიცეზნიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>ვ) ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1 მ-ს;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქ ხობი, სოფ. ჩიხუ მიმდებარე ტერიტორია მდ. ხობის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 39 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქ ხობი, სოფ. ჩიხუმიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 30 367 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 036,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (10 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 237 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 7 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 5 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 5 ივნისს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| | თარიღი | |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 7** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202 482 571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Info@nam.gov.ge |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების პროცესში არსებული ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
